3-47.

პიონერი

8

1930

სახელგამი

ანგრევენ სამხედრო სოგორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ არიან ნორჩი ნატურალისტები

საქართველოში ყველა პიონერმა ან მოწაფემ როდი იცის, თუ ვინ არიან ნორჩი ნატურალისტები და ეს არც გასაკვირია, რადგან საქართველოში ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული ნორჩ] ნატურალისტთა წრეები.

საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში ამ საქმეს შვიდი-რვა წლის გამოცდილება აქვს. აქ ეს მუშაობა ძალიან ვიწრო ფარგლებში დაიწყო, სკოლებთან და პიონერთა კოლექტივებთან არსებობდა ჯგუფები 5—10 წევრის შემადგენლობით, რომლებსაც უწოდებდენ ნორჩ ნატურალისტთა წრეებს. ეს წრეები მუშაობდენ უგეგმოდ და უხელმძღვანელოდ. მათი მუშაობა გამოიხატებოდა მშრალი კოლექციების შეკრებაში, პეპელების ჭერაში და ყვავილების შეგროვებაში.

ეს თანდათანობით შეიცვალა: წარმოიშვა ახალი შეხედულებანი, რომლებიც მოითხოვდენ, რომ ნორჩ ნატურალისტთა მუშაობისათვის მიეცათ პრაქტიკული, რეალური განხრა. პირველ ხანებში ეს შეხედულება ბევრ ამხანაგს სასაცილოდ მიაჩნდა, მაგრამ მალე ცხოვრებამ სულ სხვა დაგვანახა, ნორჩ ნატურალისტთა წრეებმა თავისთავად იწყებს ცხოვრებასთან დაახლოება. იმისათვის, რომ შეესწავლათ მცენარის ჩასახვა და მისი განვითარება, ისინი ტყეში აღარ გარბოდენ, აწყობდენ თავის საკუთარ საცდელ ბოსტნებს, ავრცელებდენ ჯიშიან ქათმებს, რომლებსაც შემდეგ იყენებდენ მეურნეობაში და სხ. **ორგანიზაცია თავისთავად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა მათი მუშაობის დაკავშირება ცხოვრებასთან.**

დღეს აღარავისთვის საკამათო აღარ არის, ის, რომ ნორჩ ნატურალისტთა ორგანიზაცია უნდა იყოს ჩვენი სოციალისტური მშენებლობისა და ხუთწლედის განხორციელების უახლოესი მონაწილე.

აი სწორედ ამ საფუძველზე განათლების კომისარიატმა და ბ. კ. ო. ცენტრალურმა ბიურომ განიზრახეს საქართველოში ნორჩ ნატურალისტთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ამ მიზნით დაარსებულია ზემოხსნებულ ორგანიზაციებთან ცენტრალური ბიურო, დამუშავებულია დებულება, ნ. ნ. კოლექტივების სანიმუშო პროგრამა და სხვა.

საერთო სახელმძღვანელო პირობები შექმნილია. სულ მოკლე ხანში ჩამოყალიბდება ნ. ნ. საოლქო, სამაზრო და სარაიონო ბიუროები, რის შემდეგაც უკვე დაიწყება სკოლებთან, პიონერკოლექტივებთან და ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, ნორჩ ნატურალისტთა კოლექტივების დაარსება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ნ. ნ. კოლექტივების შექმნაში თვით პიონერებს და მოწაფეთა აქტივს ეძლევა. საჭიროა ჩატარებულ იქნეს მთელი რიგი ღონისძიებები. ამ ღონისძიებათა შორის შეიძლება იქნეს შემდეგი:

1. კოლექტივის, ფორპოსტის, სკოლის კრებაზე დაისვას ხელმძღვანელის ან ბუნებისმეტყველების მასწავლებლის საუბარი „ვინ არიან ნორჩი ნატურალისტები და როგორ დავაარსოთ მათი კოლექტივი“. აქვე შეიძლება დაარსდეს კოლექტივი.

2. მოწვეულ იქნეს სარაიონო, საქალაქო კრებები პიონერთა და მოწაფეთა აქტივისა, სადაც აგრეთვე დასმულ იქნება ზემოხსენებული ან მისი მაგვარი საკითხები.

3. კოლექტივის და სასკოლო კედლის გაზეთებში მოთავსებულ იქნეს წერილები და ნახატები, სადაც განმარტებული იქნება ნ. ნ. საკითხები.

4. დახატულ იქნეს სპეციალური პლაკატები და მოწოდებანი ნ. ნ. კოლექტივების დაარსების შესახებ.

5. დაისვას საკითხი პარტიის და კომკავშირის უჯრედების, მშობელთა კრებების, აღმასკომის წინაშე, რომ უკანასკნელებმა ნორჩი ნატურალისტების კოლექტივს სათანადო ყურადღება მიაქციონ (ბინის შოვნა, მიწის ნაკვეთის მიცემა საცდელი ბოსტნის მოსაწყობად, მატერიალური დახმარების გაწევა და სხ).

შემდეგ №-ში მოვათავსებთ საქართველოს ნორჩ ნატურალისტთა ორგანიზაციის **დებულებას**, რომლის საფუძველზეც უნდა ჩამოყალიბდეს ნ. ნ. კოლექტივები.

მ. ელიჯარაშვილი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

	გვ.
1. მთის არწივი—წერილი ლენინზე—ი. **სტალინის**	1.
2. ლენინის ბავშობა—წერილი—**ვ. ჩერვიაკოვის** .	2.
3. პირველი მაისი—**მ. კ—ს**	3.
4. საპირველმაისო—ლექსი—**შ. შაველაშვილის** .	3.
5. ვემზადოთ ბანაკობისათვის—**ერემასი**	4.
6. რა უნდა ახსოვდესთ კოლმეურნეობაში მიმავალ ბავშთა ბრიგადებს	5.
7. უცხოელი პიონერების წერილი საბჭოთა პიონერებისადმი—ლექსი—**ზ. დოლიაშვილის**	9.
8. ჩვენი ცოცხალი საქმე - გაზეთი	10.
9. ვლადიმერ მაიაკოვსკი—წერილი—**ვ. ლ—ძის** .	12.
10. დამკვრელი ბრიგადების მგზავრული—ლექსი—**ვ. მაიაკოვსკის**	12.
11. ბანაკად გასვლის სამზადისში—მოთხრობა—**პ. ჩხიკვაძის**	14.
12. ვინ არიან ნორჩი ნატურალისტები—**მ. ელიჯარაშვილის**	გარეკანის მე-2 გვ.
13. კულაკი კოლექტივიზაციის საკითხში—გარეკანის მე-3 გვ.	
14. ფოტოები—ამხ. ამხ. **დავიდოვის, ავდიუშინის, ლისიციანის** და სხვა	

329.151(05)
Ჯ-47.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲘ

30 აპრილი

№ 8

წელიწადი მეხუთე

1930

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

1870 წლის 22 აპრილს დაიბადა საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი მასწავლებელი და ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ—ᲚᲔᲜᲘᲜᲘ

1

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲠᲬᲘᲕᲘ

ამხ. ლენინს მე პირველად 1903 წ. გავეცანი. მართალია, ეს არ ყოფილა პირადი გაცნობა, ვინაიდან ეს მოხდა მხოლოდ მიწერ-მოწერის საშუალებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ჩემში წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა, რომელიც თან გამომყვა მთელი ჩემი პარტიული მუშაობის გზაზე.

მე მაშინ ციმბირში ვიყავი გადასახლებული. 90-იანი წლების უკანასკნელი რიცხვებიდან მოკიდებული, განსაკუთრებით კი 1901 წ. გაზეთ „ისკრა"-ს გამოცემის შემდეგ, ამხ. ლენინის რევოლუციონური მოღვაწეობის გაცნობამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ ლენინის სახით არაჩვეულებრივ ადამიანთან გვქონდა საქმე.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲑᲔᲭᲓᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘᲗ

ის მაშინ ჩემს თვალში არ იყო პარტიის უბრალო ხელმძღვანელი, არამედ იყო მისი ფაქტიური შემქმნელი, ვინაიდან მხოლოდ მას ესმოდა ჩვენი პარტიის გადაუდებელი საჭიროებანი და მისი შინაგანი რაობა.

როცა მას ვადარებდი ჩვენი პარტიის დანარჩენ ხელმძღვანელებს, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ლენინის თანამებრძოლნი—პლეხანოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვანი—ლენინზე დაბლა იდგენ თითო თავით, რომ ლენინი მათთან შედარებით იყო არა მარტო ერთ-ერთი ხელმძღვანელი, არამედ ის იყო ხელმძღვანელი უმაღლესი ტიპისა, მთის შეუპოვარი არწივი, რომელსაც უშიშრად მიჰყავდა პარტია რუსეთის რევოლუციონური მოძრაობის ისტორიისათვის უჩინარი გზებით.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ეს შთაბეჭდილება იმდენად ჩამრჩა გულში, რომ საჭიროდ მივიჩნიე მის შესახებ წერილი გამეგზავნა ერთ-ერთი ჩემი ახლობელი მეგობრისათვის, რომელიც იმ დროს ემიგრაციაში (იძულებითი ყოფნა საზღვარგარეთ) იმყოფებოდა. ამ წერილში ვითხოვდი მისგან დახასიათებას.

რამდენიმე ხნის შემდეგ, გადასახლებაში (ციმბირში) ყოფნის დროს, 1903 წ. ბოლო რიცხვებში, მივიღე აღფრთოვანებული პასუხი ჩემი ამხანაგისგან და უბრალო, მაგრამ მეტად ღრმაშინაარსიანი წერილი ამხ. ლენინისაგან, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, გასცნობია ჩემს მიერ ამხანაგისადმი მინაწერ წერილს.

ᲠᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ლენინის წერილი შედარებით პატარა იყო, მაგრამ ის გაბედულად აკრიტიკებდა ჩვენი პარტიის პრაქტიკას (ყოველდღიურ მიმდინარე მუშაობას), იძლეოდა საუკეთესო, ნათელსა და მარტივ განმარტებას ჩვენი პარტიის უახლოესი მომავლის მოქმედებათა მთელი გეგმების შესახებ.

მხოლოდ ამხ. ლენინს შეეძლო ყველაზე უფრო რთულ და დაბნეულ საკითხებზე ისე ნათლად, სხარტად, გაბედულად წერა, რომ მისი ყოველი წინადადება კი არ ლაპარაკობდა, არამედ ისროდა.

ამ უბრალო, მაგრამ გაბედულმა წერილმა უფრო დამაჯერა იმაში, რომ ლენინის სახით ჩვენს პარტიას ჰყავდა მთის შეუპოვარი არწივი. დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის, რომ ამხ. ლენინის ეს წერილი ძველი პერქვეშელების ჩვეულებისამებრ ცეცხლს მივეცი ერთ დროს. ამ დროიდან იწყება ამხანაგ ლენინთან ჩემი გაცნობა.

ი. ხტალინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის ბავშობა

ყოველთვის ჩუმი და უწყინარი, ულიანოვების უფროსი ვაჟი ალექსანდრე როგორღაც ერთხელ სრულიად დამშვიდებით აცხადებს—ეკლესიაში არ ვივლიო. მარია ალექსანდრეს ასული დაკვირვებით მისჩერებია ყმაწვილს და ეკითხება მას:

— საშა, შენ ეს კარგად მოიფიქრე? ეს ხომ მეტად რთული საკითხია!

— დიაღ, დედი, ეს გადაწყვეტილი საქმეა!

მეტი არაფერი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მარია ალექსანდრეს ასული მორწმუნე ადამიანი იყო.

ვალოდიამ კი თავისი მტკიცე ბუნების წყალობით უფრო ენერგიულად და იოლად დააღწია თავი სარწმუნოებას. თექვსმეტი წლისა იყო ის, როცა მკერდიდან ჯვარი მოიგლიჯა და გადააგდო.

ვალოდია დაჯილდოვებული იყო საუკეთესო სმენით, ამიტომ მას ძალიან უყვარდა მუსიკა და გალობა. მისი ხმა ყოველთვის გამოიყოფოდა გუნდიდან, როცა მარია ალექსანდრეს ასული ბავშებს შემოიკრებდა პიანინოს გარშემო და ასწავლიდა მათ სიმღერას.

ხუთი წლისა იყო ვალოდია, როცა დედამ კითხვა შეასწავლა. ექვსნახევარი წელი რომ შეუსრულდა, მან მოითხოვა უფრო მტკიცედ სწავლის დაწყება.

ის მეცადინეობდა შინაურ მასწავლებელთან, რომელიც გაკვირვებული იყო მისი გამჭრიახი გონებით, ჩქარი ათვისების უნარით და არაჩვეულებრივი მეხსიერებით.

— ვალოდია ისე ითვისებს განმარტებებს, თითქოს ეს მას სცოდნოდეს ძველად. მე აღარ მიხდება ერთხელ განვლილის განმეორება მასთან,—განცვიფრებით ამბობდა მისი მასწავლებელი.

ვალოდია ცელქი და მოუსვენარი იყო, ის ხშირად ხელს უშლიდა უფროსებს—ანასა და საშას—მეცადინეობაში. როცა ვალოდია გიმნაზიაში შევიდა, ამ უკანასკნელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს:

— ახლა ვალოდია თვითონ ისწავლის გაკვეთილებს და დაწყნარდება,—ფიქრობდენ ისინი, მაგრამ მოსტყუვდენ.

საღამოა. განიერ მაგიდაზე დევს ნავთის დიდი ლამფა. ანამ და საშამ ეს-ეს არის გაშალეს მაგიდაზე სახელმძღვანელოები და რვეულები. ოლია კი კუთხეში ზის და ერთობა ექვსი წლის მიტიასთან. ვალოდია სადღაც სახლის მეორე ბოლოშია, ალბათ გაკვეთილებს თუ ამზადებს. სასადილოში სრული სიმშვიდეა. ახლა კი შესაძლოა სახელმძღვანელოებს მოჰკიდო ხელი. უეცრად იჭრიალა კარმა და ოთახში შემოვიდა უკანხელდაწყობილი ვალოდია. რამდენიმე ხანს ჩუმად შეჰყურებს „სახელმძღვანელოებისათვის წამებულთ“.

ვალოდიას არ უნდა ამათ ხელი შეუშალოს. განა ისეთი ბალღია, რომ ეს არ ესმოდეს? შორდება ამათ და ცერებზე მიდის კუთხეში მოთამაშე პატარებთან. აქ ის უკვე თავის წრეშია. რამდენიმე საქმიან შეკითხვას აძლევს ოლიას, ხოლო მიტიას კი თავაზიანად მიმართავს. სადღაც უთამაშებს მას პატარა ძარღვი. მას ხომ ვერ დააკავებ?

— გინდათ პირამიდა ავაშენოთ?—გამომწვევი კილოთი ეკითხება ვალოდია.

გაფაციცებით ამოძრავდენ, რამდენიმე ხანს იფუსფუსეს. შემდეგ უეცრად ხმა გაისმა, რაღაც მძიმედ დავარდა. სიცილი, ტირილი, აურზაური... საშა ყურებიდან თითებს არ იშორებს და კუთხისაკენ იცქირება.

— დედილო, ვალოდია ხელს გვიშლის მეცადინეობაში!—ყვირის მოთმინებიდან გამოსული ანი.

ზღურბლთან გამოჩნდა ბრგე ილია ნიკოლოზის ძე, რომელსაც თეთრსადაფებიანი მოძველებული სერთუკი ეცვა. ეტყობოდა, ახალი დაბრუნებული იყო მივლინებიდან. მან ხელი გადაისვა მელოტ თავზე და ეუბნება ვალოდიას:

— წავიდეთ კაბინეთში!

ვალოდია შეჩერდა თავისი საყვარელი ოთახის შუა ადგილას, სადაც დგას საწერი მაგიდა მთელი გროვა წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებითა და რვეულებით.

— შენ რატომ არ ამზადებ გაკვეთილებს?—მკაცრად ეკითხება ილია ნიკოლოზის ძე.

— მე ხვალისათვის სუყველაფერი ვიცი, მამა!

— გავსინჯოთ,—ეუბნება მას ილია ნიკოლოზის ძე ჩვეულებრივი კილოთი.

იწყება მკაცრი გამოცდა. ვალოდიამ კეთილსინდისიერად ჩააბარა ის. ძველი მასწავლებლის გული სიხარულით ივსება გამჭრიახი და ნათელი პასუხით, მაგრამ...

— როდის მოამზადე? — განცვიფრებით ეკითხება მამა.

— მე არ მინდოდა მომზადება, მამა. ყველაფერი სკოლაში აგვიხსნეს, არაფერი მქონდა მოსამზადებელი.

ილია ნიკოლოზის ძე ჩაფიქრებული ბოლთასა სცემდა ერთი კუთხიდან მეორემდე.

— უეჭველად არაჩვეულებრივი ნიჭია! მხოლოდ ეს დაღუპავს მას, ვინაიდან არა აქვს შრომისა და მეცადინეობის უნარი. მიუხედავად ამისა, ამბობენ, მამას დაემსგავსაო.

ილია ნიკოლოზის ძე ვეღარ მოესწრო იმას, რომ მისმა ვაჟმა, რომელიც მას უნიჭისყოფო ეჩვენებოდა, გამოამჟღავნა უდიდესი შრომის უნარი და დაუღალავი ენერგია მუშაობაში.

ცხრანახევარი წლისა იყო ვალოდია, როცა მან გამოცდა დაიჭირა სიმბირსკის გიმნაზიაში. აქ ის ყველა მოწაფეზე ჩქარა დაწინაურდა, გადადიოდა კლასიდან კლასში დაჯილდოებით. სწავლის ათვისებას ის ძალიან იოლად ახერხებდა.

ვ. ჩერვიაკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მაისი

საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაულს—პირველ მაისს—განსაკუთრებული სახე აქვს მით, რომ ის ტარდება საერთაშორისო მდგომარეობის გართულების პერიოდში.

უმუშევართა მილიონიანი რიგები კომინტერნის დროშის ქვეშ ერთსულოვნად ირაზმებიან გადამწყვეტი ბრძოლისათვის კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ.

როდესაც პოლონეთსა და გერმანიაში ფაშისტები დიპატრონენ სახელმწიფო მართვა-გამგეობას, როდესაც ჩინეთის პროვინციებში ფრიალებენ საბჭოების დროშები, როდესაც რომის პაპის ხელმძღვანელობით დორბლმორეული დასავლეთი კბილებს ილესავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ,—ამ დროს მილიონიანი პროლეტარიატი და მშრომელები მთელი ქვეყნისა დემონსტრაციებით და სოლიდარული კავშირის განმტკიცებით წინ ეღობებიან ასეთ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის შინაურ და საგარეო საქმეებში ჩარეევისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის პირველი სამშობლოს დასაცავად.

მსოფლიოს მეორე მხარეში—საბჭოთა კავშირში—შეუნელებლად მიმდინარეობს გიგანტური სოციალისტური მშენებლობა, რითაც ძირფესვიანად ნადგურდება ნაშთები კაპიტალიზმისა.

მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში ხდება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

შენდება ახალი გიგანტური საბჭოთა მეურნეობანი და ასეული ახალი ფაბრიკები და ქარხნები.

ყოველდღიური და შეუნელებელი მუშაობით პიონერებმა ჩაატარეს მობილიზაცია თავისი ენერგიისა სამეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის დაჩქარებით შესრულების და სოციალისტური მშენებლობის წარმატებით დამთავრებისათვის.

ტფილისის პიონერებმა სოციალისტური შეჯიბრების 560 ხელშეკრულება დასდვეს მუშა მშობლებთან.

ლენინაიონის პიონერებმა შეფობა აიღეს 65 დაზგაზე და მანქანაზე.

ბაქოს პიონერებმა ხანძრისაგან ენერგიულად დაიცვეს ნავთის ერთი სარეწაო.

ახალქალაქის მაზრის პიონერებმა ჩამოაყალიბეს მეფრინველეობის 15 ამხანაგობა, და ასე ათასი შეუმჩნეველი საქმე ზოგავს ათასეულ მანეთებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის და კომუნისტურ ნიადაგზე ზრდიან ა/კ. ბავშვებს.

პირველ მაისს კიდევ უფრო განვამტკიცებთ პიონერების გავლენას ორგანიზაციის გარეთ დარჩენილ ბავშვებზე.

ასი პროცენტით ჩაავბამთ კოლმეურნეთა ბავშვებს პიონერთა რიგებში.

პირველ მაისს გამოვალთ პლაკატებით, ლოზუნგებით, დიაგრამებით, დემონსტრაციაზე გამოვიყვანთ როგორც სკოლის პიონერებს, ისე ყველა ბავშს, სოციალისტური მშენებლობის მონაწილეებს, რითაც დავანახვებთ მთელ საბჭოთა საზოგადოებრივობას, თუ პიონერები როგორ ებზადებიან ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის სამხედრო საქმეში, თუ როგორ შეუმჩნევლად და ენერგიულად კეთდება ათეული და ასეული სხვა საქმე მშრომელ ბავშთა ხელებით ა/კ. ყველა მხარეში.

მოვითხოვთ უფრო ძლიერ ყურადღებას და კონკრეტულ დახმარებას ყველა საბჭოთა ორგანიზაციისაგან,—ბავშთა კომუნისტურად აღზრდისათვის.

ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცებისათვის მუშაობა პიონერთა რიგებში დავაყენოთ პირველ პლანზე.

ვაცხადებთ საშუალებათა მასიურ მობილიზაციას პროლეტარულ ბავშთა შეკრებისათვის, რომელიც შესდგება ა/წ. ივლისში გერმანიაში, რისთვისაც ვუხელმძღვანელებთ ინტერნაციონალური კაპიკების, შემოწირულებების შეგროვებას, საღამოების მოწყობას და სხვ.

ბოლშევიკური ტრადიციების შესწავლით განვამტკიცოთ მოლიანობა ა/კ. პიონერთა შორის.

თვალისჩინივით გავუფრთხილდებით ლენინელების სამ თაობას.

კიდევ უფრო ძლიერი ტემპით მსვლელობისათვის, ბავშთა მონაწილეობით სოციალისტურ მშენებლობაში, დაკვრითი ტემპით მუშაობისათვის კოლმეურნეობებში, წინააღმდეგ ცრუ დამკვრელებისა სოციალისტურ შეჯიბრებაში—პირველ მაისს ქუჩებში გამოვალთ.

საპირველმაისო

გულები კლდედ მოაქვთ
მებრძოლთა ქარავნებს,
ზღვაური ხმაური
მედგრად მქუხარეა,

დღეს ქუჩებს წითელი
დროშები ფარავენ,
და კუნთებგამართულ
შრომას უხარია!..

გაპრილა ისრებად
ელვარე მიზნები,
გრიგალი გრიგალზე
გადადის გრიალით,

ქარიშხლის სუნთქვებში
გმირებად ვიზრდებით,
გვახარებს დროშების
მღელვარე ფრიალი!..

გულები კლდედ მოაქვთ
მებრძოლთა ქარავნებს,
ზღვაური ხმაური
მედგრად მქუხარეა,

დღეს ქუჩებს წითელი
დროშები ფარავენ,
და კუნთებგამართულ
შრომას უხარია!..

შალვა შაველაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვემზადოთ ბანაკობისათვის

ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია ზრდის ფიზიკურად ჯანსაღ და კომუნისტურად მოაზროვნე მომავალ თაობას. ბავშთა აღზრდა ფრიად სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმეა. ასაკით ნორჩი და აზროვნებით მოუმწიფებელი ბავში საჭიროებს ფრთხილ და სერიოზულ აღმზრდელობით მიდგომას.

ამიტომ არის, რომ პიონერთა შორის მუშაობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი პარტიის და კომკავშირის მუშაობაში.

ბავშთა აღზრდა არ გულისხმობს მხოლოდ მათ პოლიტიკურ მომზადებას, არამედ იგი ითვალისწინებს აგრეთვე ფიზიკურად ჯანსაღი ნორჩი თაობის აღზრდასაც.

ბავშთა ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამ ვარჯიშობას, სუფთა ჰაერს და ყოველთვის სუფთა ჰაერზე მეცადინეობა-ვარჯიშობას. ბავში უნდა იზრდებოდეს სუფთად, ლაღად და კულტურულად, ბავშის ნორჩ ორგანიზმზე მეტად უარყოფითად მოქმედებს მძიმე და დახუთული ჰაერი, უსუფთაობა, თავისუფლების შებოჭვა და სხვა.

ყოველივე ეს ხელს უშლის ბავშის ნორჩი ორგანიზმის სათანადო განვითარებას, რაც შემდეგ აზროვნებაზეც გადადის, ამიტომ არის, რომ ზაფხულობით ეწყობა პიონერთა ბანაკობა.

წარსულ წელს ბანაკების მოწყობას მრავალი სიძნელე და ნაკლი ახლდა თან, რაც უნდა აიხსნას, ერთის მხრივ, იმით, რომ გვიან დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა, მეორეს მხრივ კი იმით, რომ კომკავშირმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო ხელმძღვანელობა და მზრუნველობა ბანაკების მოწყობის საქმეში; გარდა ამისა, არ ჩატარებულა საკმაო მოსამზადებელი მუშაობა, ახსნა-განმარტება პიონერთა მშობლებს შორის ბანაკების მოწყობის მნიშვნელობის შესახებ, რამაც ზოგან მშობლების წინააღმდეგობაც კი გამოიწვია ბავშების ბანაკად გაგზავნაზე.

მიმდინარე მუშაობაში ჩვენს გვქონდა წარსული წლის გამოცდილება, რის საფუძველზეც მოსამზადებელი მუშაობა ადრე დავიწყეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა ზოგიერთ ორგანიზაციას ჯერ პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია.

წელს ბანაკად გავა რამდენიმე ათასი ბავში, ბანაკების მოწყობას კი რამდენიმე ათასი მანეთი დასჭირდება. ეს თანხა უმთავრესად კომკავშირმა და პიონერორგანიზაციებმა უნდა შეაგროვონ მშობლების დახმარებით, იმისათვის კი, რომ ბანაკები და ბანაკების მოწყობა ეკონომიური საშუალებებით უზრუნველყოფილ იყოს, საჭიროა ბანაკების მოწყობის საქმეს მშობლები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ინტერესით და მომზადებული შეხვდენ. ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ წარმოებული, ადგილებზე კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები მეტად გულგრილად ეკიდებიან ამ დიდ საქმეს.

ამრიგად, საბანაკო თანხების შეგროვების საქმე მეტად არანორმალურ მდგომარეობაშია.

მაგრამ მარტო თანხების შეგროვებით არ ამოიწურება მოსამზადებელი მუშაობის მთელი შინაარსი; წარსულ წელს იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მშობლები ეწინააღმდეგებოდენ ბავშების ბანაკად გაგზავნას, რაც შეიძლება ავხსნათ მხოლოდ იმით, რომ პიონერების მშობლებს შორის არავითარი ახსნა-განმარტებითი მუშაბა არ იყო ჩატარებული იმის შესახებ, თუ რა მნივნელობა აქვს და რა სარგებლობა მოაქვს პიონერებისათვის ბანაკად გასვლას.

მოსამზადებელი მუშაობის ის ნელი ტემპი, რომელიც ახლა გვაქვს, ეჭვს ბადებს, რომ წელსაც არ ვიქნებით დაზღვეული ყველა ასეთი მოვლენისაგან, თუ დროზე არ გარდავქმნენით ჩვენი მუშაობა და არ გამოვასწორეთ ნაკლი.

ამ შემთხვევაში გარდა კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციისა ულრესად დიდი როლი ეკისრებათ პროფესიონალურ კავშირებსა და **პედაგოგიურ პერსონალს.** ეს უკანასკნელნი უნდა დაეხმარონ კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციებს აგიტიცია-პროპაგანდის და ახსნა-განმარტების საქმეში.

პედაგოგების დახმარებას დიდი ნაყოფის მოცემა შეუძლია, რადგან ისინი ყველაზე მეტი ავტორიტეტით სარგებლობენ მშობლების თვალში. ამიტომ, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, უნდა ეწყობოდეს პიონერებისა და მშობლების კრებები და ინდივიდუალური ახსნა-განმარტებანი. თვითონ პიონერები კარგად უნდა ერკვეოდენ ბანაკების მნიშვნელობაში, რომ ბანაკად გასვლა მათ მისცემს ახალ ენტუზიაზმს, ახალ ენერგიას.

ამიტომ, ბანაკობისათვის მოსამზადებელ მუშაობაში უნდა მოხდეს გარდატეხა ისე, რომ კომკავშირმა და პიონერთა ორგანიზაციამ მოკიდონ ხელი და პრაქტიკულად ჩააბან ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ბანაკებისათვის საჭირო მატერიალურ საშუალებათა გამონახვის საქმეში; ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ყოველგვარი საშუალება. კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან საინიციატივო ჯგუფები, რომელნიც პირდაპირ იქნებიან დაინტერესებული ამ საქმით; გარდა ამისა, ამ ჯგუფებში და კომისიებში ფართედ უნდა ჩააბათ პიონერთა მშობლები და მასწავლებლები; სადაც შესაძლებელია, უნდა ეწყობოდეს ბანაკების სასარგებლოდ საღამო-წარმოდგენები, გროვდებოდეს ნებაყოფლობითი შეწირულებანი და სხვა.

შეგროვილი თანხები უნდა იხარჯებოდეს და ნაწილდებოდეს წინასწარ განსაზღვრული გეგმით; უნდა ვებრძოლოთ თანხების ხარჯვის უგეგმობას, რაც ხშირად ხდება და ზიანს აყენებს საბანაკო მუშაობას, ამისათვის ბანაკების მოწყობის საქმე უნდა ვითარდებოდეს კომკავშირისა და პიონერთა მასის კონტროლის ქვეშ.

ვინც გულგრილად ეკიდება ამ დიდ საქმეს, ის ბანაკებს ებრძვის, ვინც ბანაკებს ებრძვის, თავისი გულგრილობითა და უპასუხისმგებლობით ბავშების, პიონერების, მტერია.

ვინც არავითარ მატერიალურ და იდეურ დახმარებას არ უწევს ბანაკების მოწყობას, ის შეგნებულად თუ შეუგნებლად ეწინააღმდეგება ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდას.

აი, ყველაფერი ეს კარგად უნდა დაიხსომოს თითოეულმა კომკავშირელმა, პიონერმა, მასწავლებელმა, ბავშების მშობლებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

ბანაკების მოწყობისა და მისი სარგებლობის შესახებ შემდეგ.

ერემა

რა უნდა ახსოვდეს კოლმეურნეობებში მიმავალ ბავშთა ბრიგადებს

მოსამზადებელი მუშაობა.

ბავშთა ბრიგადების გაგზავნას კოლმეურნეობებში დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და მან უნდა ითამაშოს უდიდესი როლი მუშათა და გლეხთა ბავშების შეკავშირების საქმეში. ბავშთა ბრიგადების მუშაობის წარმოება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დაუჭერენ მხარს ადგილობრივი ორგანიზაციები ამ ნაბიჯს და რამდენად მოემზადებიან თვით ბავშები მისი გატარებისათვის.

რაზმებო, ბაზებო, მოწაფეთა კომიტეტებო, — დაიწყეთ მებრძოლი კამპანია ამ ბრიგადების გასაგზავნად. მარტო ჩვენ ვერას გავხდებით. ჩააბით ამ კამპანიაში მოწაფეები, მშობლები, პარტიული და კომკავშირული უჯრედები, პროფკავშირები, სოფლების საშეფო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. შექმენით ფართო საზოგადოებრივი აზრი მათ შორის. ეცადეთ ნათლად შეაგნებინოთ ბრიგადების გაგზავნის მნიშვნელობა და მათი მიზნები და ამოცანები. მობილიზაცია გაუკეთეთ საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობის ყოველგვარ ფორმას: ბაასი, მოხსენებები, განცხადებები, ლოზუნგები, პლაკატები, კედლის გაზეთები, გამოწვევები, ინდივიდუალური აგიტაცია და სხ.

რაზმებსა და სკოლებში დაიწყეთ საერთო კრებით, სადაც ჩაატარებთ თათბირს ამ თემაზე: „როგორ შეუძლიათ ქალაქის პიონერებს (მოსწავლეებს) კოლმეურნეობრივი მშენებლობისთვის დახმარების გაწევა“. შეჩერდით კოლმეურნეობების მშენებლობის ზრდაზე და კოლექტივიზაციის მნიშვნელობაზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში, კოლმეურნეობის კლასობრიობაზე და კულაკების ხელშემშლელ მუშაობაზე, ღარიბებისა და საშუალოებისათვის პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და მუშათა მხრივ დახმარების აღმოჩენაზე. უნდა გაშუქდეს აგრეთვე კოლმეურნეობაში ბავშთა შრომა, ყოფა და ცხოვრება.

როდესაც წინადადება იქნება მიღებული, დაავალეთ რაზმის საბჭოს (მოწკომს, ბაზას) შეადგინოს მთლიანი კამპანიის გეგმა. ამ შეკრების სახელით მიმართეთ ადგილობრივ ორგანიზაციას საჭირო დახმარებისათვის.

ამასთანავე ერთად დაიწყეთ კოლმეურნეობის ბავშებისთვის სახსრისა და საჩუქრების მოგროვება. გამოიჩინეთ ამ საქმეში შნო, უნარი და ინიციატივა. მოიგონეთ, როგორ გროვდებოდა წვლილი ბანაკებისთვის და გამოიყენეთ ეს გამოცდილება. ყველას ამცნეთ შეწირულების შეგროვების შესახებ, აირჩიეთ სპეციალური პირები, რომლებიც განსაზღვრულ დროს ჩაიბარებენ შემოწირულებას. მოწაფემ, მშობელმა თუ პროფკავშირელმა, კომკავშირელმა თუ კომუნისტმა — ყველამ მოიტანოს თითო ნივთი, — ეს დიდი საქმე იქნება.

შეწირულების მიმღებლებს დაუნიშნეთ დასახმარებლად შემგროვებელნი, რომლებიც ივლიან სახლებში შეწირულების მოსაგროვებლად.

დე, რაზმის წრეებმა და სახელოსნოებმაც დაამზადონ საჩუქრები. რა საგნებია უფრო სასარგებლო კოლმეურნეობის ბავშებისთვის? აი რა: წიგნები, რვეულები, ფანქრები, საწერ-კალამი, ქაღალდი, საშლელები, ფერადები, ფუნჯები, სათამაშოები, ჯიბის დანები, მაკრატლები, რუკები, პორტრეტები, ლოზუნგები, სადურგლო და საზეინკლო ინსტრუმენტე-

ქიათურის მეორე პ/კოლექტივის ექსკურსიის მონაწილენი

მუშაობენ კოლექტიკის ბაღში

ბი, ბურთები, ფანერები, ლურსმნები, ჟურნალ-გაზეთები, ტანისამოსი და სხვ.

სახსრების გამოსანახავი და შეწირულებათა მოსაგროვებელი მუშაობა გახადეთ დაკვრითი, შეიტანეთ მასში შეჯიბრების ელემენტები და მაშინ ჩატარდება იგი მიღწევით.

დიდ დახმარებას გაგვიწევს ამ საქმეში სოფლის შეფობის საზოგადოების ადგილობრივი უჯრედი. ამიტომ, მუშაობის პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე დაუკავშირდით მას. მთელი ეს სამუშაო რაზმებში, კლუბებში, სკოლებში გამოაცხადეთ დაკვრით სამუშაოდ და, თუ საჭიროება მოითხოვს, შექმენით რაზმის საბჭოსთან, ბაზასთან ან მოწკომთან კომისია ან ორგბიურო, რომელიც ხელს მოკიდებს ამ საქმის პრაქტიკულად ჩატარებას, საერთო ხელმძღვანელობა კი ისევე რაზმის ან მოწკომის ხელში იქნება.

ბრიგადის არჩევა—შემდეგი სერიოზული მუშაობაა. მასთან უნდა მიხვიდე რაც შეიძლება ფხიზელი ყურადღებით: ვისაც ამოირჩევ ბრიგადის შემადგენლობაში, მისგანვეა დამოკიდებული საქმის წინსვლელობა. მაშასადამე, ბრიგადაში უნდა შეეიდენ ღირსეული ყმაწვილები, რომლებსაც შეუძლიათ კოლმეურნეობის ბავშვის გამოწრთვნა, შეუძლიათ ბევრი რამ შეასწავლონ მათ და მუდმივი ძმური კავშირი გაამან მათთან. ამნაირი ყმაწვილები, რასაკვირველია, იქნებიან ისინი, რომლებმაც თავი ისახელეს საზოგადო მუშაობაში აქტიურობის გამოჩენით რაზმსა და სკოლაში. სანამ შეუდგებოდეთ არჩევნებს და განწესის დამტკიცებას, თვი მოუყარეთ აქტივს, ასწონ-დასწონეთ მასთან ეს საკითხები და ეცადეთ კანდიდატების წამოყენება და განწესის შესახებ მსჯელობა მოხდეს ყოველ რგოლსა და ჯგუფში.

ბრიგადის შემადგენლობა 3-5 კაცისა, მასში უსათუოდ შედიან ვაჟები და გოგონები. მასთანვე ერთი მათგანი უნდა იყოს კომკავშირელი. ბრიგადაში იგრეთვე უნდა შევიდეს ჯგუფის ხელმძღვანელი, კედლგაზეთის მეთაოსნე, ახალგაზრდა ტექნიკოსი, ფიზკულტურელი, ნორჩი მეურნე, რომელსაც უყვარს სასოფლო მეურნეობა. ბრიგადის ამნაირი შემადგენლობა აძლევს ბრიგადას შესაძლებლობას სიტყვით კი არა, საქმით შეასრულოს ის კონკრეტული ამოცანები, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

აქტივის ზემდეგ მოიწვიეთ საერთო კრება, რომელზედაც უნდა აირჩიოთ ბრიგადა და დამტკიცოთ კიდეც განწესი.

მხოლოდ ამ ღონისძიებათა (კამპანია, საღსრეგისა და საჩუქრების მოგროვება, ბრიგადების არჩევნები და განწესი) შემდეგ აირჩიეთ კოლმეურნეობა, რომელშიაც წავა ბრიგადა.

ამისთვის საჭიროა მიმართოთ საოლქო კოლმეურნეკავშირს, ან საოლქო პარტკომს, რომელსაც უნდა ეთხოვოს დანიშნოს გასამგზავრებელი ადგილი. ყველაზე უმჯობესია ახლოს მდებარე კოლმეურნეობის არჩევა, რომ შემდგომაც შესაძლო იყოს მუდმივი კავშირის დაჭერა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია თვით ბრიგადის მომზადება კოლმეურნეობაში სამუშაოდ. თავი მოუყარეთ ერთად ბავშვებს და უამბეთ მათ, თუ რარიგ შეიძლება განხორციელდეს განწესის ამოცანები.

საუკეთესო ორგანიზაციის შექმნისთვის, წინადადება შეიტანეთ ხელმძღვანელის და მდივნის არჩევის შესახებ, გეგმა და მისი შესრულება ბრიგადებს გაუნაწილეთ.

როგორღა უნდა მოემზადოს ბრიგადა?

უმთავრესია — ბრიგადა გაეცნოს იმ მდებარეობას, სადაც მოთავსებულია კოლმეურნეობა, რო-



რგავენ ხეებს

გორც მცოდნეთა გამოკითხვით, აგრეთვე ოფიციალურ ცნობათა შეკრებით ოლქკოლმეურნეობის კავშირის ანუ საშეფო საზოგადოების დახმარებით. ბრიგადის ყველა წევრმა უნდა იცოდეს პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად მიღებული ღონისძიებანი და უნდა იცნობდეს ქალაქ-სოფლის დაახლოების და შეჯიბრების საკითხს. კარგად უნდა იყოს გარკვეული ამ კითხვებში: მოსავლიანობის გადიდება, სამეურნეო გადასახადი, პურის დამზადება, კონტრაქტაცია და სხ. ამისთვის მოიწვიეთ პარტიის წევრები, რომლებიც გამართავენ შესაფერ თათბირს, აგრეთვე ურჩევენ სათანადო წიგნების და გაზეთების წაკითხვას. ძალიან საჭიროა ამის გაცნობა კომკავშირელისათვის, რომელიც მისდევს ბრიგადას. კარგი იქნება, რომ მთელმა ბრიგადამ შეისწავლოს პიესები, გასართობები, შეადგინოს აგრეთვე სიმებიანი ან სასულე ორკესტრი, გაამზადოს კოლმეურნეობითი ხასიათის რომელიმე პიესა. ეს გამოსადეგია თვითშემოქმედების საღამოს მოსაწყობად. ამის გარდა ბრიგადირებმა უნდა მოამზადონ აგრეთვე ცოცხალი საქმის მთელი რიგი თავისი სპეციალობის მიხედვით, რომ ის საქმეები გააკეთონ იქ, სადაც მიდიან.

რა უნდა წაიღოს თან ბრიგადამ?—1) სურსათი სამი დღისათვის, 2) საბავშო ოთახის მოწყობილობა, 3) საჩუქრები, 4) ორი პატარა ბიბლიოთეკა—ერთი სკოლის გარეშე სამუშაოსთვის, მეორე—სოფლის მეურნეობის შესახებ, 5) ბავშებისათვის გამოწერილი ჟურნალ-გაზეთების ქვითარი, 6) რადიომიმღები დეტექტორიანი ან ლამფის ხმამაღლა მოლაპარაკეთი, 7) ფიზკულტმეცადინეობის მოწყობილობა (ბურთი, საცურავები და სხ), 8) სადურგლო და საზეინკლო იარაღი, 9) ბოსტნეულის თესლი, 10) ჯადოქარი ფარანი, 11) პატარა აფთიაქი.

მოსამზადებელი მუშაობის ყველა ეტაპს 2-3 კვირაზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

მიიღებს თუ არა პასუხს კოლმეურნეობისაგან და რა დარწმუნდება, რომ არაა ეპიდემიური ავადმყოფობანი, ბრიგადა ნიშნავს გასვლის დღეს და ატყობინებს კიდეც კოლმეურნეობას. წასვლის წინ თავს მოიყრიან რაზმის ანუ ბაზის კლუბში, თან წასაღებს ყველაფერს შეამოწმებენ, და მერე ბრიგადა შეუდგება გზას. სასურველია, რომ წასვლის დრო შერჩეული იყოს საზამთრო არდადაგების დასაწყისისთვის (დეკემბრის ბოლოს, იანვარში), რომ ბრიგადირები არ ჩამორჩენ სწავლას. მოპეტებულ შემთხვევაში, გამგზავრება საზამთრო არდადაგებს უკავშირდება და იქაც, სადაც ეს არ არის, ბრიგადები ამ დროს უნდა გავიდენ, საჭიროა მხოლოდ კი, რომ მასწავლებელთა და მოზრდილ მოწაფეთა შორის გაიბას ფართე საზოგადოებრივი აზრი კოლმეურნეობიდან დაბრუნებისთანავე ბავშისათვის სწავლაში დახმარების აღმოსაჩენად.

რა უნდა გავაკეთოთ კოლმეურნეობაში

კოლმეურნეობაში მისვლისთანავე, ბრიგადა უნდა შეუდგეს საზოგადოდ კოლმეურნეობის, მისი დაწესებულების გაცნობას, უმთავრესად იქ ბავშების და მდომარეობის, მათი ცხოვრების შრომის და ყოფაქცევის გაცნობას. ეს შეიძლება გაკეთდეს ხელმძღვანელებთან და კოლმეურნეობის წევრებთან თათბირისა და კრების გატარების საშუალებით, აგრეთვე ბავშთა შეკრებით, რომელზედაც, რა მოხსენდება ბრიგადის მისვლის მიზეზი, დასმული უნდა იყოს საკითხი იმის შესახებ, თუ რაა სასურველი მიიღონ ბავშებმა მისგან. ამის შემდეგ კი შეიძლება კონკრეტული გეგმის შედგენა და მუშაობის დაწყება ადგილზე.

რადარა კითხვა უნდა შევიდეს გეგმაში და გატარდეს ადგილებზე.

1) გამოყოფა კომკავშირის ან პარტიის მიერ, კოლმეურნეობის გამგეობის მიერ რომელიმე ამხანაგისა, რომელსაც შეუძლია ბავშთა შორის მუშაობის ხელმძღვანელობა.

2) პიონერთა რაზმის ან რგოლის ორგანიზაცია, მისი მუშაობის გეგმის შედენა და ჩვენების მ ცემა ბავშებს, თუ როგორ შეასრულონ გეგმა.

3) ცალკე ოთახის-კლუბის ან ოთახის ნაწილის გამოყოფა ბავშების სამეცადინოდ.

4) შემოწმება—ყველა ბავში სწავლობს თუ არა სკოლაში, თუ არ სწავლობენ,—შედგეს ჯგუფი მათთვის წერა-კითხვის შესასწავლებლად, აღიძრას კოლმეურნეობის წერა-კითხვის მცოდნე წევრის მიმაგრების საკითხი.

5) მოხერხდეს, რომ ბავშები არ იგზავნებოდენ მძიმე მუშაობაზე.

6) შემოწმება და ხელის შეწყობა ადგილობრივ ორგანიზაციებს სკოლის აგრონომიზაციის დეკრეტის შესრულებაში, აგრეთვე დახმარება სკოლასთან საბავშო სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის დაარსებაში.

7) კოლმეურნეობასთან ერთად ბავშების ორგანიზაციის, ან წითელი კუთხის რიგზე მოყვანა (ქოხსამკითხველოში გაზეთების მიკერება, ლოზუნგების დაწერა, სურათების ჩამოკიდვა და სხ.).

8) ზომების მიღება კოლმეურნეობის ბავშთა შორის და სოფლად ფიზკულტურული მუშაობის გაფართოება-განვითარებისათვის.

9) ჩატარდეს თუნდაც სამი საღამო: ბრიგადის და კოლმეურნეობის ბავშთა თვითშემოქმედების საღამო, საჩუქრების დარიგებით და რამე ინსცენირობით, რის შემდეგ უნდა გაიმართოს გართობა, თამაში; კითხვა-პასუხის საღამო უნდა გაიმართოს ბასით თემაზე: „პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა“; დასასრული საღამო უნდა მოეწყოს ყველა კოლმეურნის მონაწილეობით, რომელზედაც უნდა გაკეთ-



რუსული საბავშო თეატრი

ანგარიში, თუ რა გაკეთა ბრიგადამ, დაისვას საკითხი, რომ კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს ახლო მდებარე კოლმეურნეობა ბავშთა შორის მუშაობის საუკეთესოდ მოწყობა-დაყენებაზე. საღამო უნდა დამთავრდეს კოლმეურნეობის ბავშვების მიერ ტრაქტორზე ან ქათმებზე შეფობის მიღებით, კოლმეურნეობის ბავშთა დელეგაციის მოწვევით სტუმრად.

10) ბავშვების დაყოფა, მათი ინტერესის საფუძველზე, ჯგუფ-ჯგუფად და მათთვის იმ ცოდნა-ჩვევების მიცემა, რაც აქვთ ბრიგადირებს.

11) დაიდგას რადიომიღები და შეასწავლონ 2-3 ბავშს მისი მომართვა-გამოყენება.

12) აღიძრას საკითხი ისეთი ძველმანის მოგროვებაზე, რომელიც შეიძლება გამოდგეს ექსპორტისათვის (საზღვარგარეთთან ვაჭრობა).

13) ახალმშენებლობის გეგმაში შეტანილ უნდა იქნეს ქოხ სამკითხველოს აგება ბავშთათვის.

14 ჩამოყალიბდეს კოლმეურნე ბავშთა კედლგაზეთი, გამოვიდეს კიდეც პირველი ნომერი.

15) კოლმეურნეთა შორის გაიმართოს თათბირი ლოთობასთან ბრძოლის შესახებ.

16) მოწესრიგდეს კოლმეურნეობის ბავშვების სასოფლო-სამეურნეო მუშაობა, კერძოდ—ხელი შეუწყოთ მათ თესვის კამპანიისთვის მოსამზადებელ მუშაობაში.

ეს კითხვათა სანიმუშო ჩამოთვლაა, რომელიც შესაძლებელია შეიცვალოს გარემოების მიხედვით, მხოლოდ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ამნაირი პასუხსაგები ამოცანების შესასრულებლად საჭიროა კიდევ განსაკუთრებული პირობები: 1) ბრიგადამ იმნაირი საქმე უნდა იკისროს, რომლის შესრულებაც მართლა შეუძლია, 2) ბრიგადამ უნდა მიიზიდოს და ჩაბას საქმეში კოლმეურნეობის ბავშვები და მოზრდილი კოლმეურნენი, რისთვისაც საჭიროა პირველ ხანებშივე დაარწმუნო ისინი ბრიგადის მუშაობის საკითხსა და მნიშვნელობაში, 3) ბრიგადის შინაწესრიგის ორგანიზაცია კარგად უნდა იყოს დაყენებული: კაი ხელმძღვანელი და რიგიანი დისციპლინა მუშაობის მიღწევებით დაბოლოების თავდება.

მოკლე ცნობები კოლმეურნეობაზე

რომ საფუძვლიანად გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობა, რომ მოისპოს სოფლის სიბეჩავე და სიღატაკე, რომ ძირბუდიანად ამოვარდეს კულაკური ექსპლოატაცია,—საჭიროა პირველად ყოველისა მოისპოს ჩვენი სოფლის მეურნეობის დაქუცმაცება და დანაწილება (ჩვენი სასოფლო მეურნეობა ოცი მილიონი წვრილი გლეხური მეურნეობისაგან შედგება).

ტრაქტორები, მსხვილი მანქანები, სწორი თესლთაბრუნვა და სხვა ამ დაქუცმაცებულ მეურნეობაში არ გამოდგება, ამიტომ აუცილებელია, ღარიბი და საშუალო მასების მდიდარობის გაუმჯობესებისთვის, დაქსაქსული მეურნეობის გაერთიანება კოლექტიური

მეურნეობის სახით. კოლმეურნეობანი ეწყობიან და არსებობენ სპეციალური დებულების საფუძველზე და წარმოდგენენ მშრომელთა სრულებით ნებაყოფლობით გაერთიანებას. კოლექტიური მეურნეობა ცოცხლობს და ვითარდება თავისი წევრების შრომით და ხანდახან სარგებლობს დაქირავებული შრომით, ისიც მხოლოდ აუცილებლობის დროს (რთველი, თიბვა და სხვა). მას სახელმწიფო ყოველნაირ დახმარებას უწევს კრედიტის, მანქანების, მიწათმოწყობის, სასოფლო სამეურნეო გადასახადის შეღავათების სახით.

არსებობს რამდენიმე სახის კოლმეურნეობა, ყველაზე სადა სახეა — მიწის ამხანაგურად დამუშავება. ამხანაგობას განუყოფელ საერთო სარგებლობაში აქვს მიწა და ზოგიერთი ინვენტარი, დანარჩენი კი კერძო საკუთრებაშია, თითოეული სახლის მფლობელის ხელში. ჩვეულებ-სამებრ, როდე აც ამნაირი ამხანაგობის წევრები დაინახავენ სარგებლობას თავიანთი გაერთიანებისაგან, ისინი გადადიან კოლექტივიზაციის უფრო სრულ და მასთანვე უფრო სარფიან სახეებზე, ესე იგი უმარტივესი ფორმაა მიწის საერთოდ დამმუშავებელი ამხანაგობა, რომლის განუყოფელ მფლობელობაშია მხოლოდ მიწა და ზოგიერთი ინვენტარი, ყველაფერი დანარჩენი კი თითოეული მეოჯახის კერძო მფლობელობაშია. ჩვეულებრივ ასე ხდება, რომ როდესაც ერთი ამხანაგობის წევრები დაინახავენ ამ გაერთიანების სარგებლიანობას, ისინი შემდეგ გადადიან კოლექტივიზაციის სხვა ფორმებზე, უფრო სრულ და მათთვის უფრო ხელსაყრელ ფორმებზე, ე. ი. გაერთიანებული მეურნეობის წარმოებას იწყებენ (არტელი, კომუნა). არტელში გაერთიანებულია ინვენტარი, მუშა და საპროდუქტო საქონელი; გაუერთიანებელი რჩება მეურნეობის წვრილი დარგები. კომუნებში გაერთიანებულია მთელი ინვენტარი ყველა სასოფლო-სამეურნეო პროცესისთვის, გაერთიანებულია მუშა და მეწველი საქონელი, შესაძლოა მოეწყოს რაიმე წამოწყება (წისქვილი, ერბოს სადღვები და სხვ.). გარდა ამისა, კომუნაში დაკოლექტივიზაციებულია მისი წევრების ყოფა. კოლმეურნეობის ასეთი ფორმის დროს გაცილებით უფრო ეკონომიურად და ხელსაყრელად შეიძლება მანქანების და მუშა საქონლის გამოყენება, იზრდება მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება, ვინაიდან დიდ მეურნეობაში უფრო მოსახერხებელია შრომის განაწილება, რასაც შედეგად მოჰყვება ნაწარმოების თვითღირებულების და აგრეთვე ინვენტარის ხარჯების შემცირება. ძალიან ბევრს აგებს კომუნა იმითაც, რომ ბითუმად ყიდულობს ინვენტარს, სამეურნეო და ფართო მოხმარების საგნებს.

მთელი ის თანხები, რასაც იძლევა კოლმეურნეობა, კომუნის წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და კომუნის შემდგომს განვითარებას ხმარდება.

ამრიგად, დიდი კოლმეურნეობის სარგებლიანობა უდავოა. მაგრამ კულაკები ამხედრებენ ღარიბ და საშუალო გლეხებს კოლმეურნეობის წინააღმდეგ, ანდა გლეხს ეშინია „კომუნაში ერთბაშად შესვლა“. ამიტომ გლეხებს აუჩქარებლივ, დინჯად უნდა ავუხსნათ, თუ რა არის კომუნა და რა გზით შეიძლება ამ საკითხისადმი მიდგომა.

უცხოელი პიონერების წერილი საბჭოთა პიონერებისადმი

ბურჟუაზიის ძირს დასამხობად
ამბოხებანი აქ თუმცა გრგვინავს,
მაგრამ დღეს ისევ მშრომელი ხალხი
კლასიურ მტრების ბრჭყალებში ვგმინავთ.

აქ ერთი მუჭა ხალხის ხელშია
ზღვა და ხმელეთზე გაბატონება;
ფაბრიკები და კოლონიები
შეადგენს იმათ მთლიან ქონებას.

ხოლო მუშათა მილიონები
იმყოფებიან იმათ მონებად,
მათგან ბრძოლებში დაღვრილი სისხლი
მიწას აჩნია დღესაც ზოლებად...

არის დღეები მძარცველებისთვის
ფუფუნების და დიდი განცხრომის,
ხოლო მუშაკი ცოლ-შვილს ვერ კვებავს
აუტანელი დღე-ღამე შრომით!..

და რამდენია შიმშილისაგან
ობოლი ბავში ქუჩაში ახლაც!
ცხადია, ამ დიდ შეძლებულთაგან
ვერ ეღირსება ვერასდროს შველას.

ასე მოკვდება, და ავტობუსით
ზედ გადაივლის გულდაგეშილი,
შემდეგ მას ნახავს ქუჩის დარაჯი,
გაათრევს სადღაც ძაღლის ლეშივით.

ასე გვტანჯავენ დიდს და პატარას
ამ აუტანელ ველურ წესებით,
მუდამ გვიხშობენ წინმსვლელობის გზას
ეს „კულტურული“ დიდი მხეცები.

გვეყო, რაც ჩვენზე მათ იბატონეს,
ეს მორჩილებაც კმარა მათდამი;
დღეს ამ მონობის ძირს დასამხობად
ოქტომბრის რისხვა მუდამ მზად არი!

ამბოხებული მილიონები
საოქტომბეროდ ემზადებიან,
თავისუფლების მოპოვებისთვის
უსისხლოდ მტრებს არ დანებდებიან.

ჩვენც მალე გავალთ მედგარ რიგებად
ქუჩებში წითელ ყელსახვევებით,
წამოვალთ თქვენთან მხიარულადა,
უცნობ მეგობრებს გადაგეხვევით!..

მუშა ზაქრო დოლიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი ცოცხალი საქმე"

გაუმარჯოს პირველ მაისს!

ყველანი დემონსტრაციაზე!

ამხანაგო პიონერებო! დღეს მუშათა საერთაშორისო დღესასწაულია, დღეს პირველი მაისია. პირველ მაისს ჩვენ თავისუფლად და წითელი დროშებით ვეგებებით, მაგრამ ასე არ არის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. დასავლეთ ევროპაში მუშათა კლასს ძლიერ მძიმე პირობებში უხდება მაისის ჩატარება. პოლიცია დემონსტრანტებს ყოველთვის ტყვიით, რეზინის ჯოხებით და საპყრობილეებით უმასპინძლდება.

ვის არ ახსოვს შარშან გერმანიაში პირველ მაისს მომხდარი სისხლისღვრა! საზღვარგარეთის მუშათა კლასმა იცის, რომ პირველი მაისის უქმობას აუცილებლად მოსდევს ხოცვა-ჟლეტა და საპყრობილე, მაგრამ ის მაინც აწყობს გრანდიოზულ დემონსტრაციებს. ამ დემონსტრაციებით საერთაშორისო პროლეტარიატი იგონებს კაპიტალისტებთან ბრძოლის ველზე დახოცილ ამხანაგებს და ბურჟუაზიას უმტკიცებს თავის სიძლიერეს.

საბჭოთა კავშირის მშრომელები კი ამოწმებენ ერთი წლის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობას და მომავალის გეგმებს ადგენენ.

წელს ს. ს. რ. კ. პირველ მაისს სულ სხვაგვარ პირობებში ხვდება. ერთის მხრივ, ქალაქში გაშლილია სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, სოფლად კი მეურნეობა კოლექტიურ საფუძველზე იგება. საჭიროა პირველი მაისის შემდეგ უფრო მეტი ენერგიით და ენტუზიაზმით შევუდგეთ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მუშაობის წარმოებას.

პირველი მაისი არის ჩიკაგოელი მუშების მოგონების დღეც, რომლებიც დახოცეს რვა საათის სამუშაო დღისა და ხელფასის მომატების მოთხოვნისათვის; ეს მოხდა 1886 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ახლა უკვე 1930 წელია, დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის ეკონომიურ-უფლებრივი მდგომარეობა მაინც არ გაუმჯობესებულა არც ხელფასის და არც სამუშაო დღის შემცირების ხაზით. დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის საპირველმაისო დემონსტრაციები ნიშნავს ჩიკაგოელი მუშების იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლასაც.

1 მაისს დახოცილი ამხანაგების მოსაგონებლად ჩვენ არ გვჩვევია ტირილი, ჩვენ საქმით ვაკეთებთ და ვანხორციელებთ იმ იდეალებს, რომელიც მათ ჰქონდათ დასახული.

პირველმაისობაში მონაწილე დემონსტრანტთა რიცხვი თანდათან მატულობს, ამ დემონსტრაციებს მკვეთრი კლასიური ხასიათი აქვს. დასავლეთ ევროპაში ძლიერდება მასების რევოლუციონური მოძრაობა.

საერთაშორისო პროლეტარული რევოლუცია ახლოვდება, ჩქარა ვნახავთ დასავლეთ ევროპაში ინტერნაციონალურ გრანდიოზულ დემონსტრაციებს, თავისუფლად გამოსულ პროლეტარიატს წითელი დროშებით ხელში.

პიონერი **გოგი ლომიძე**

არც ჭიათურის რაიბიურო ჩამორჩება პიონერთა სხვა ბიუროებს

(ქუთაისის ოლქი).

პიონერთა რაიბიურომ საწარმოო ლაშქრობის საკითხი დირექტივების მიღების საფუძველზე დაამუშავა აქტივის გაფართოებულ თათბირზე, რის შემდეგ დამუშავებული საკითხები გადატანილ იქნა პიონერკოლექტივებში; გამოყოფილმა ბრიგადებმა დაიარეს მთელი საწყობები, საცხოვრებელი ბინები და გაწმინდეს უსუფთაობისგან.

ბრიგადებმა მოახდინეს ლოთობის გასამართლება, რამაც მასაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მოწყობილია ხუთწლიანი გეგმის კუთხე.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებაში პიონერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს, მათ კაცხის თემში შეაგროვეს 160 კილოგრამი სათესლე მასალა. ქალაქის პიონერკოლექტივებმა შეიძინეს 4 გუთანი და გადასცეს კოლმეურნეობას.

პიონერებმა კოლმეურნეობაც არ დასტოვეს უყურადღებოდ. მაგალითად, პერევისის თემში ზოგი პიონერის მშობლები არ შედიოდნენ კოლექტივში, მაგრამ პიონერების მიერ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებით მშობლები ბოლოს შევიდნენ კოლმეურნეობაში. ქვაციხის და მერევის თემში კოლმეურნეობაში შეპარული იყო 4 კულაკი; პიონერებმა ამხილეს მათი კულაკური მოქმედება და ანტისაბჭოთა ელემენტები გამორეკეს კოლმეურნეობიდან. პიონერები აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევენ სამხედრო საქმეს და ამტკიცებენ პიონერთა თავდაცვის უნარიანობას. კულტურული საქმეც კარგად არის დაყენებული ჭიათურის რაიონში. კოლექტივებთან ჩამოყალიბებული აქვთ სამხატვრო წრე, არსებობს მომღერალთა გუნდი და დადგმული აქვთ 2 რადიომიმღები.

პიონერები აგრეთვე მიმაგრებული არიან წარმოებებში მემანქანეებთან და ხელოსნებთან.

ჭიათურის პიონერთა ბიურო ენერგიულად ეკიდება საქმეს და საბოლოოდ გამობრძმედილ, რევოლუციონური სულით გაჟღენთილ შემცვლელ თაობას მოგვცემს.

მუშაობა დამაკმაყოფილებელია

(წერილი ონის რაიონიდან)

საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, რაიბიუროს ხელმძღვანელობით პედტექნიკუმთან არსებული 4-წლედის ბრიგადა გაიგზავნა სოფელ ნაკიეთში.

ბრიგადამ ჩაატარა საუბრები თესვის კამპანიის მნიშვნელობაზე, გაზეთი ხმამაღლა წაუკითხა გლეხებს და სხვა.

ამ კამპანიასთან დაკავშირებით ონის რაიონში პ/კოლექტივები ყიდულობენ ერთ გუთანს, რომელიც გადაეცემა კოლმეურნეობას.

პიონერები კომკავშირთან ერთად წავიდნენ ბრიგადაში ადგილებზე კულტდახმარების გაწევის მიზნით.

ამ კვირეულთან დაკავშირებით პიონერებმა შეაგროვეს ფანქრები, წიგნები და 10 მანეთი ფულად, რაც გადაეცემა ამავე ბრიგადის მიერ მოწყობილ წითელ კუთხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერის რაიონის საბავშვო მოედანი

კოლექტიური მიწათმოქმედების ტექნიკუმთან დაარსდა ვაკე-ვერის რაიონის საბავშვო მოედანი, რომელიც ამ რაიონის მშრომელთა შორის კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის ბაზას წარმოადგენს. ამ მოედნის მიზანია მშობლთა ჩაბმა ამ მუშაობაში და ბავშვთა აღზრდითი ვამოჯანსაღება, რომ ბავშვები მოწორდენ ქუჩას.

ამ მოედანზე ვაკე-ვერის რაიონის მშრომელთა ყველა ბავშვთან ჩაატარებენ პოლიტგანმანათლებელ, საკლუბო და გასამხედროებითს მუშაობას. აქვეა განაწილებული ეს მოედანი ტერასებად, სადაც ეწყობა კინო, წარმოდგენები, რადიო, კონცერტები, ლიტერატურული საღამოები ანტირელიგიური საუბრებით, მოხსენებები სოციალისტურ აღმშენებლობაზე და სხვა. ამიტომ ბავშვთა დასასვენებელ-გასართობად მთელი დღის განმავლობაში, როგორც აღვნიშნეთ, ეს მოედანი დაყოფილია ტერასებად: 1) სასპორტო-სათამაშო, 2) მზის აბაზანების მისაღები, 3) საბანაო აუზი, 4) დასასვენებელი ვერანდა, 5) ესტრადა, 6) კინო და სხვა. ყოველ მოედანზე დარგულია შესაფერი დეკორატიული მცენარეები.

უწინ ეს ეზო წარმოადგენდა გავერანებულ ხრიოკ ადგილს, დაუშუშავებელს და გამოუყენებელს, დღეს კი მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკუმის მოწყფეთა ენერგიული მუშაობით ის გადაიქცა მნიშვნელოვან კულტურულ-დასასვენებელ ადგილად. თვით მოწყეებმა გაასწორეს მიწა, დარგეს მცენარეები და სხვა, ერთი სიტყვით, ამ მოედნის მოსაწყობად წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა შეასრულეს თვით მოწყფებმა, რაც მოითხოვდა უამრავ ხარჯს.

ამგვარად დაწყებულია და სრულდება დიდი კულტურული საქმე ვაკე-ვერის რაიონის მშრომელი მოსახლეობისათვის და ბავშთა ფიზიკური მდგომარეობის გამოსაჯანსაღებლად.

ვახო ჩაჩიბაია

ვეხმარებით ლარიბებს

საჩხერის საბავშო სახლთან არსებული კოლექტივი დაეხმარა ერთ ღარიბ მოხუც ქალს.

მას ჩვენ ყინიდან გადავუმოქეთ ქვები და დავუბარეთ ყანა. ამავე დროს ჩვენი პიონერები მას ესაუბრებოდენ თანადროული საკითხებზე, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე.

გოგიტა ხაუვარელიძე.

პირველი მაისი

გათენდა დილა მაისის,
არის გუგუნი ქუჩების,
ყველგან სიმღერა გაისმის
გამარჯვებული მუშების!

მზეც მხურვალებას უმატა,
ხარობენ მინდორ-ველები:
მოდიან მხიარულადა
პატარა პიონერები!

ვაშა, პირველო მაისო,
მშობელო თავისუფლების,
წითელ დროშებით გაიესო
საბჭოთა ქვეყნის უბნები!

პიონერი მარო კობიაშვილი

მეოროველი მოსახლეობა კმაყოფილია

ნატანების ბავშთა კომუნისტური ორგანიზაცია 28 მარტს 80 პიონერის მონაწილეობით დაეხმარა სამეურნეო კოლექტივებს.

ასეთივე დახმარება მოაწყვეს 8 აპრილს, სადაც პიონერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს შეუკავშირებელმა ბავშებმაც.

ამ დღეს მათ გაწმინდეს და გაასუფთავეს ჩალის ღეროებისა და ჯირკვებისაგან სახნავად 5 ჰექტარი მიწა. ავრეთვე გაასუფთავეს ჩაის ახლადდასანერგავი პლანტაციისთვის დახნული 3 ჰექტარი მიწა, დასკრეს 5000 ჯოხი ჩაის პლანტაციისათვის (დასასობი).

აღნიშნულ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამხ. ვ. ბოლქვაძის სახელობის პიონერკოლექტივი, რომლის წევრების 100% გამოცხადდა სამუშაოზე.

წელს გაზაფხულზე პკოლექტივი აწყობს ერთ ჰექტარ მიწაზე საცდელ-სანიმუშო ბოსტანს, რისთვისაც სათესლე მასალა დახმარების სახით მიიღებულია ნატანების საკრედიტო ამხანაგობიდან.

ბ. კ. ო. რაიბიუროო აწარმოებს აქტიურ მუშაობას დანარჩენ კოლექტივებშიც.

ზუგდიდის კომკავშირულ ტანმოვარჯიშეთა ერთი ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმირ მაიაკოვსკი

14 აპრილს, დილით, მოსკოვში, თავის სამუშაო ოთახში თავი მოიკლა პროლეტარული რევოლუციის უდიდესმა პოეტმა ვლადიმირ მაიაკოვსკიმ. ირკვევა, რომ პოეტის თვითმკვლელობა გამოიწვია უაღრესად პირადი ხასიათის მიზეზებმა, რომელთაც საერთო არაფერი აქვს პოეტის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობასთან. თავის მოკვლას წინ უძღოდა ხანგრძლივი ავადმყოფობა, რომლის შემდეგაც მაიაკოვსკი ჯერ კიდევ არ იყო განკურნებული.

ვლადიმირ ვლადიმირის ძე მაიაკოვსკი დაიბადა 1894 (1893) წელს, 7 იელისს, სოფელ ბაღდათში (ქუთაისის ოლქი), ტყის გამგის ოჯახში. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. 1905 წელს მონაწილეობას იღებდა დემონსტრაციებსა და მიტინგებში და შეეიდა მარქსისტულ წრეში.

1906 წელს გარდაიცვალა მაიაკოვსკის მამა და ოჯახი დარჩა უსახსროდ. ამის შემდეგ მაიაკოვსკი გადადის საცხოვრებლად მოსკოვში, აქ ის შედის მეუთე გიმნაზიის მეოთხე კლასში. გიმნაზიაში მაიაკოვსკი ცუდად სწავლობდა, რადგან გატაცებული იყო მარქსიზმით. იმავე ხანებში მან სცადა რევოლუციონური ლექსების წერა, მაგრამ მალე თავი გაანება.

1903 წელს შეეიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში (ბოლშევიკებისა) და პროპაგანდისტად მუშაობდა ფეხსაცმელების მკერავებთან და სტამბის მუშებთან. დაპატიმრებული იყო ორჯერ. მეორე დაპატიმრების შემდეგ 11 თვეს იჯდა მოსკოვის ცნობილ ბუტირკას საპატიმროში, სადაც დაიწყო უახლესი ბოლტრისტიკის შესწავლა.

საპატიმროს შემდეგ თავი გაანება პარტიულ მუშაობას და გადაწყვიტა დაეწყო სწავლა. პირველად ხელი მოჰკიდა მხატვრობას, სწავლობდა მხატვრობის, ქანდაკების და ხუროთმოძღვრების სკოლაში. 1912 წელს სხვებთან ერთად მაიაკოვსკიმ გამოუშვა რუსი ფუტურისტების პირველი მანიფესტი „სილა საზოგადოებრივ გემოვნებას“. მაიაკოვსკის მიერ გამართულ დისპუტებს და მის სიტყვებს შედეგად მოჰყვა ის, რომ მაიაკოვსკი დაითხოვეს სასწავლებლიდან. შემდეგ მან იმგზავრა რუსეთში, გამოდიოდა საღამოებზე, კითხულობდა ლექციებს.

1915 წელს მაიაკოვსკი გაიწვიეს ჯარში, სადაც მსახურობდა მხზავად, რადგან არ უნდოდა ფრონტზე წასვლა. მონაწილეობას იღებდა თებერვლის რევოლუციაში და რამდენიმე დღეს მეთაურობდა ავტოსაკოლას. ოქტომბრის რევოლუციას თავიდანვე თანაგრძნობით შეხვდა და მუშაობდა სმოლნში.

1919 წელს მუშაობდა რუსეთის დეპეშათა სააგენტოში. სამოქალაქო ომის პერიოდში მაიაკოვსკი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული პოეტი იყო წითელი გვარდიის და არმიის მებრძოლთ შორის.

სწორედ ამიტომ ის 1930 წელს მიიღეს რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.

მისი პოეტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 20 წლის თავზე მას მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო პოეტის სახელწოდება.

დეე, ჩვენი ეპოქის უდიდესი პროლეტარული პოეტის მაიაკოვსკის ძეგლი იყოს:

„ბრძოლებში ნაშენი სოციალიზმი“.

დამკვრელი ბრიგადეგის მგზავრული

წინ!
ტრაქტორები ულრანებს დახრავს,
და კომუნისთვის
თავი გადასდეთ.
რევოლუციონერს
სჭირდება ახლა
იბრძოლოს
ქარხნის ბარიკადაზე.
„კომუნის კერა
აღარ დაიქროთ“—
ლოზუნგი
მუშის რიგებს
ახარეთ.
დამკვრელ ბრიგადას
მოჰყვეს საამქრო,
საამქროს კიდევ
მთელი ქარხანა.
წინ,
რომ გავფანტოთ
უკუნი ბნელი,
ელნათურების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურსმნები
ელავს.
აიღე ფეხი,
აიღე ტემპი
და წინ გავუსწროთ
ხუთწლიან გეგმას.
მამაპაპური აღარ გვინდა
ბარგი ბარხანა,
დნეპრო, ქარხნების ტურბინები
გადააქროლე.
დამკვრელ ბრიგადას
მოჰყვეს საამქრო,
საამქროს კიდევ
მთელი ქარხანა.
დროთა მორევში
ოქროს თევზივით
ვერვინ დაიჭერს
კომუნას მზიანს.
წინ, ძმებო, ახლა
გინდათ დეზები
განუწყვეტელი
შეტევის ზიართ.
სადაც სახნისის
შრომამ
იდარდა,
პურს იპყრობს
ახლა ტრაქტორთ ლაშქარი.
მოჰყვეს საამქრო
დამკვრელ ბრიგადას,
საამქროს კიდევ
მთელი ქარხანა.
გაუცდენელი,
გიგანტურ ბიჯით
მივდივართ,
მტრული რას გვიზამს
დევნა.
ოთხ წელიწადში
ხუთწლიან გეგმის
უნდა დავიპყრათ
ყოველი მიჯნა.
ელექტროს ტალღამ
გულგასახარად
იდინოს,
სხივი არსად დააქროთ.
დამკვრელ ბრიგადას
მოჰყვეს ქარხანა,
დამკვრელ საამქროს
კიდევ საამქრო!
იყოს გრძნობები,
როგორც ალი მზის,
ქარხნის სხივებში, როგორც მანდილში.
აი,
დადგება
სოციალიზმი,
როგორც ცოცხალი
და სინამდვილე.
ჩვენ ეს ლოზუნგი
მოვფინოთ
ლექსით,
პლაკატის ფერმა ყველას
ახაროს:
„მოჰყვეს ბრიგადას
დამკვრელი ცეხი,
და დამკვრელ ცეხებს
მთელი ქარხანა!“

თარგმანი **მიქელ პატარიძის**

პიონერული რადიოგადაცემა მომღერალთა გუნდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანაკად გასვლის სამზადისში

ზაფხული მოახლოებულიყო. პიონერრაზმები ბანაკად გასასვლელად ემზადებოდნენ, დასვენებასა და ტანვარჯიშობაზე ფიქრობდენ ხანგრძლივი მეცადინეობის შემდეგ.

კოხნარის ,,აიონის პიონერებიც ემზადებოდენ მინდვრად და ბანაკად გასასვლელად... ემზადებოდნენ, მაგრამ...

— ბარაბანი რომ არ გვაქვს, ბიჭებო!

— არც საყვირი გვაქვს...

— საყვირი კი არა, ერთნაირი ტანისამოსიც არ გვაქვს...

— სამოგზაურო ფულიც არ გაგვაჩნია. საკუთარ ხარჯზე კი ბევრს რა შეუძლია გავიდეს ბანაკად, სურვილი კი, ცხადია, ყველას დიდი აქვს...

— ბიჭებო! უბარაბნოდ საქმეს ეშველება... ბარაბანი რა არის ბოლოსდაბოლოს, — ჩაერია საერთო საუბარში ხელმძღვანელი გოგი და ამხანაგებს გადახედა.

— ბარაბანი რა არის?.. უბარაბნოდ კი ვერ გავალთ ბანაკად? — დაუდასტურა ხელმძღვანელს კოწიამ და ქამარი გაისწორა.

— ამხანაგებო! კი გავალთ უბარაბნოდ, მაგრამ ხომ იცით, დასაკრავი იარაღებს და მუსიკას საერთოდ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მოგზაურობის დროს, ისე, საერთოდ, ადამიანის გამხნევებისა და გამხიარულებისთვის. როცა მუსიკა უკრავს ან ბარაბნის რიტმული ხმაურობა ისმის, შიში არ გეკარება, დაღლილობას არ გრძნობ ადამიანი, — განმარტა თავისი სიტყვა აჩიკომ და ბარაბნის საკითხი ისევ წამოაყენა.

— ეგ მართალია, აჩიკო, მაგრამ...

— ფულზეა საქმე, არა? — დასძრო კოწიას აჩიკომ და ღიმილით მიუბრუნდა ამხანაგებს — ფულს ვიშოვით, ამხანაგებო... ან კიდევ, ჩემი ძმა, ხომ იცით, წითელ ჯარშია, სწორედ ახლა ათავებს სამსახურს და უკადო შვებულებაში დაბრუნდება... მე მივწერ მას, რომ როგორმე ერთი ბარაბანი შემოგვწიროს და, თუ ბარაბანი გვექნება, მეპარაბნესაც ვიშოვით.

— მაშ მისწერე, აჩიკო, რომ ერთი კარგი ბარაბანი ჩამოგვიტანოს! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— მივწერ და, ვიცი, ეს საქმე მოგწყობა კიდეც. საქმე ისაა, რომ ჩვენ ბანაკად გასვლის დროს, როგორც ზოგიერთები ამბობდენ, სამგზავრო, სახარჯო ყველას არ გვექნება. აქ კი სახსრების გამონახვაა საჭირო...

— სად რა გამოვნახოთ... — აწუწუნდენ პიონერრაზმელები და ერთმანეთს გადახედეს.

— სად?

— აბა სად?

— მოიცათ, ბიჭებო! — წამოიძახა ისევ აჩიკომ და წინ წამოდგა, — მოვაწყოთ ერთი საღამო-წარმოდგენა ჩვენს სკოლაში და შემოსავალი გვეყოფა კიდეც ღარიბთათვის გზის ფულად, ზოგიერთები კი საკუთარ ხარჯზე წავიდეთ.

— კარგი აზრია.

— დიდებულია!.. — დაუდასტურეს აჩიკოს ამხანაგებმა და გადაწყდა უახლოეს დროში მოეწყოთ სკოლის შენობაში საღამო-წარმოდგენა ღარიბ პიონერთა ბანაკად გამგზავრებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად.

პიონერრაზმი შეუდგა საღამო-წარმოდგენის სათანადო სპეზიალისს, ხოლო აჩიკო ჩაჩანიძემ მისწერა წერილი თავის უფროს ძმას, წითელარმიელ გიორგის, რომ, უკადო შვებულებაში წამოსვლის დროს, კოხნარის პიონერრაზმისათვის სადმე ეშოვნა ერთი ბარაბანი და ან სხვა რაიმე დასაკრავი იარაღი, რომელიც პიონერრაზმს გამოადგებოდა...

2.

სადგურში მატარებელი ჩამოაყენეს...

ბაქანი ვერ იტევს წითელარმიელებს. .

უკრავს ორკესტრი და შეჯგუფებული არმიელები მოღიმარი სახით მიჩერებიან ერთიმეორეს. შვებულ არმიელებს აცილებენ სოფლებისკენ.

შემოკრეს მეორე ზარი, და დაფაცურდენ მგზავრები თუ გამცილებელნი.

ორთქლმავალი აკვნესდა და სიმწრისგან ნისლის ბელტები ამოყარა საკვამურიდან. ორკესტრი უკრავს „სამგზავრო მარშს“.

ფრიალებს ბაქანზე ალისფერი დროშები, და გამცილებელი არმიელები ეთხოვებიან დიდი ხნიდან შეჩვეულ ამხანაგებს, რომელთაც უკვე სამსახურის ვადა გაუთავდათ და დღეს წითელი ყაზარმიდან ზოგი სად მიემგზავრება და ზოგი სად შემდგომი მუშაობისათვის...

გიორგი ჩაჩანიძე დიდხანს იდგა ვაგონში ასასვლელ საფეხურებზე და, ფიქრებში გართული, უაზროდ იქნევდა ალაშიანოყლობულ ცხენისახოცს, სანამ მატარებელი ნიშანსვეტს არ გასცდა და სანამ თვალს არ მოეფარა სადგური და ხალხის კოლონებით დატვირთული ბაქანი.

გიორგი შევიდა ხალხით სავსე ვაგონში და ბარგს გადახედა...

ჩემოდანი და ბარაბანი ზევით თაროზე შემოსდო და კუთხეში დაჯდა დაფიქრებული.

გიორგის უმძიმდა და ენანებოდა წითელი ყაზარმის მიტოვება...

გიორგი ისე შეეჩვია წითელ ყაზარმაში ცხოვრებას, ორმელ ჯარში გაწვევისას მარტოხელა ოჯახის, მოხუცი დედისა და პატარა ძმის აჩიკოს მიტოვება ისე არ გასჭირვებია, როგორც ამჟამად მას ენანებოდა წითელი ყაზარმისა და შეჩვეული ამხანაგების მიტოვება, მაგრამ...

გიორგი უკვე მორჩა საველდებულო სამსახურს... გიორგიმ მიიღო შეიფერი სამხედრო მომზადება და, რაც მთავარია, პოლიტიკურადაც გათვითცნობიერდა, და აი, დღეს საკმაო ცოდნითა და გამოცდილებით მემგზავრება გიორგი თავის სოფელში...

პიონერი რადიოსთან

სოფელში გიორგის ელოდება მოხუცი დედა და პიონერი ძმა აჩიკო.

მატარებელი მიქრის, მიკივის, და ძილგატეხილი გიორგი ფიქრებიდან ფიქრებში გადადის.

ხრინწიანი ხველა ეკიდება ყურთასმენას თუთუნის კვამლით დანისლულ ვაგონში...

ზოგი ღორივით ღრუტუნებს, ზოგი კიდევ უდარდელად ფშვინავს, თითქოს საკუთარ ბინაზე ძინავდეს. მყუდროდ და მოსვენებით და არა სახალხო მატარებელში, მგზავრების საერთო ღრიანცელსა და კარების უთავბოლო ჭრიალსა და ჯახუნში.

გიორგის თვალებს რული არ ეკარება, მაგრამ ვერც სასაუბრო თემა გამონახა თანამგზავრებთან. ერთ თავის თანამგზავრთან სკადა გიორგიმ საუბარი გაება, როცა უნებლიედ სიტყვა კოლექტივებზე ჩამოვარდა, მაგრამ მგზავრმა დუმილი არჩია გიორგისთან საუბარში შეყოლას და მეტი რა გზა იყო, ისევ სიჩუმე ჩამოვარდა ვაგონის იმ ნაწილში, სადაც გიორგი და მისი თანამგზავრები ისხდენ.

ორთქლმავალმა უკანასკნელად დაიკვნესა საჯავახოს სადგურის ნიშანსვეტთან და სოფლის თემშარაზე სამგზავროდ მოსული გიორგი ზურგშექცევით გამოეთხოვა ბათუმისკენ მიმავალ სახალხო მატარებელს.

3.

გიორგი მიყვება სოფლის თემშარას და ენერგიულად ათვალიერებს შარას იქით ჩამწკრივებულ მოსახლეობას, მათ სარჩო-საბადებელსა თუ სამოსახლო ავლადიდებას.

სოფლების სიღარიბე თვალში ხვდება ყველა გზად გამვლელს, და გიორგიც სწრაფად ასეთ ფიქრებს გადაეკიდა; ეზო-მიდამოების სიკოხტავე, მაგრამ ბარშემოფარგლული მიწის ნიადაგის სიმცირე და ძროხა-კამეჩების ნაკვლად თხების სიმრავლე მოსახლეობაში — ნათელს ხდიდა მოსახლეობის ხელმოკლეობასა და სიღარიბეს... თუმცა აქა-იქ შეძლებულებიც ვერ იმალავდნენ თავს სოფლის საერთო სიღარიბეში.

— მიწები გურიაში მწირია და მოუსავლიანი — ფიქრობდა გიორგი და თვალწინ ეხატებოდა გვიმრალებისა და ეწრების თვალუწვდენელი მიდამოები...

— სუფსის განაპირა ჭალები გურიას მოსავლით ვერ შეინახავს და აგერ რომ გვიმრალები მოჩანს, ყამირი და ღორების საჩუგნავი, ნუთუ ეს მიწები არ გამოდგება კულტურული ჯიშებისა და ციტრუსების გასაშენებლად.

გიორგი თანდათან შედიოდა სოფლების სიღრმეში და მისი ოცნება თითქოს ხორცს ისხამდა.

აგერ, ათეული მუშახელი შესცევია გვიმრალა ეწერს და ბარის პირზე აბრუნებენ.

აგერ დარგული და გაშენებული მინდვრები...

— რა ამბავია? — ეკითხება გიორგი თავის თავს, — ორი წლის განმავლობაში ნუთუ ამდენი რამ გაეშენეს, ნუთუ? და პასუხს თვითონ დამუშავებული მინდვრები იძლევიან გიორგის გაოცებულ კითხვაზე.

— ჩაის პლანტაციები ორიათას მეტრს გადააცილებს, თუ წრევანდელ დარგულს ვანგარიშობთ, — ეუბნებიან გიორგის სიჩაიე მამულებში მომუშავე გლეხები, და გიორგი თავბრუდახვეული მიდის წინ...

გიორგი უახლოვდება თავის სოფელს, და მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქვს...

ეგერ დიდი ზერები... აგერ საჩაიე მამულები, სათუთუნენები...

გლეხები მუშაობენ ერთად... საერთო ძალ-ღონით...

— რა ამბავია? — კითხულობს გიორგი. — ნუთუ კოლექტივიზაციის საკითხმა უმიწაწყლო გურულებში ასე ფართო გამოძახილი პოვა, ისიც კამპანიის დაწყების პირველსავე დღეებში? ნუთუ...

მაგრამ ფიქრები და ხალხის ერთსულოვანი შრომა გაერთიანებულ კოლექტივებში თვითონ ლაპარაკობდა...

— მაშ ტყუილად არ წერდენ ნიადაგის მცოდნენები, გურიაში საუკეთესო პირობებია ჩაის გაშენებისა და ციტრუსებისთვისო.

გიორგი ამ ფიქრებით შევიდა თავის სოფელში და ჩქარა თავის პაწია ქოხის წინ გაჩნდა... ეზოში, ქოხის მახლობლად, მოფუსფუსე მოხუცი ქალი ჭიშკრის ხმაურობასა და ჭრიალზე შარისკენ მიტრიალდა, თვალებზე ხელი მიიფარა და სტუმრად მოსულს ბეჯითად დააკვირდა.

— გიორგი! — აღტაცებით წამოიძახა ბოლოს მოხუცმა დედამ, ხელსაქმე ხელიდან გაავდო და მოულოდნელი სიხარულისგან ამჩატებული, ბუმბულივით გაფრინდა გიორგისკენ.

— გიორგი... შვილო! გენაცვალა დედაშენი... ქაქანებდა მოხუცი მართა და ორი წლის უნახავ შვილს ბავშვივით ყელზე ეკიდებოდა.

— მშიერი იქნები, შვილო! მოგიკვდა დედაშენი, არ ისვენებდა მართა და დაუსრულებელ ალერსთან ერთად დაბალ სუფრაზე გიორგის საუზმეს უწ-

ყობდა და საგანგებოდ შემონახულ გადადუღებულ ადესის ღვინოს წელში გამოკარსეტებულ ჰიქაში უსხამდა. გიორგი მადიანად ილუკმებოდა „შინაურ“ შექამადს და დროგამოშვებით ღვინის ჰიქასაც ცალერსებოდა მოღიმარი თვალებით.

— აჩიკო სად არის, დედაჩემო?— იკითხა მოგვიანებით გიორგიმ, როცა დედასთან ალერსსა და საუბარს მორჩა.

— აჩიკო წარმოდგენას აწყობს, შვილო. პიონერის ხელმძღვანელია და რაცხას ამზადებენ აგი ორი კვირეა.

— დიდი იქნება ახლა აჩიკო.

— დიდი, შვილო, შენსიმაღლეა... კაი ბიჭი დადგა, შვილო, გენაცვალოთ ორივეს დედათქვენი... სოფელს ისე უყვარს, ისე ევლებიან თავზე, როგორც საკუთარ შვილს.

— კარგია... მე თავიდანვე ვიცოდი, რომ აჩიკო კაი ბიჭი დადგებოდა... ბარაბანი მომწერა და ჩამოვუტანე...

— ვაი, გენაცვალა დედაშენი... მაგისთანა კარგ საქმეს პიონერებს ვერაფერს გაუკეთებდი სხვას... რომ იცოდე, რა ამბავში არიან უბარაბანოდ. ხან ვედროზე ურახუნებენ, ხან ტაბურეტკაზე, ხან კიდევ თუნუქის ნაჭრებზე... როგორ გაეხარდება, როგორ გადირევა ბარაბნის დანახვაზე...

— ბევრი არიან პიონერში, დედაჩემო?

— ბევრი, შვილო, ბევრი. ერთი „როტა“ გეგონება, რომ დამწკრივდებიან და სოფელს ჩამეივლიან... თუ არ დაგეზარება, ცოტა დეისვენე, შვილო, და გაუყევი მერე ჩვენი სოფლის სკოლას. ყველანი იქ დაგიხვდებიან და, ხომ იცი, იმათ სიხარულს საზღვარი არ ექნება შენს დანახვაზე, რაკი ასეთი საჩუქარიც ჩამოუტანე...

— ცოტას დავისვენებ და, თუ დამეძინოს, ერთი საათის შემდეგ გამაღვიძე, დედაჩემო.

— კი, შვილო, გენაცვალა დედაშენი...

აფუსფუსდა ისევ მართა და გიორგის ლოგინი გაუშალა დასასვენებლად...

უძინარმა და მგზავრობით მოქანცულმა გიორგიმ ჩქარა ხვრინვა ამოუშვა.

დაღამდა.

სკოლის ეზოში ბავშები შეგროვილან და ისმის დამაყრუებელი ხმაურობა.

მოზრდილები ჯერ არსად ჩანან. სალამოს მომწყობი კომისია მოწყენილია.

— დავიღუპეთ, ბიჭებო! შემოსავალი კი არა, მგონი ვიზარალოთ კიდეც.

— დიდები არ მოდიან და ამ ბავშებს ვინ მისცა ფული, რომ ბილეთი იყიდონ.

— ეხ! ბედი არ გვქონია და ეს არის.

— ბედი არა, ბიჭო, პასკა არ გინდა?—დასცინა კოწიამ აფრასიონს.

— ჯერ გულს ნუ გაიტეხთ, ბიჭებო! ვინ იცის, იქნებ ვახშმობის შემდეგ მოვიდეს ხალხი. ხვალ დასასვენებელი დღეა და...

— ვინღა ისვენებს ახლა? მოგცლია შენც!.. ძველებურად ხომ არ ანგარიშობ?

— არა, მარა კვირადღეა და კვირას სოფელი ყოველთვის ისვენებს...

— კვირას არ იყო ამასწინად რომ კოსტას ოცი კაცი ყავდა ნადზე?

— კარგია, გეყოფათ! თქვენ თქვენ საქმეს მიხედეთ!—შეუტია ალაზლანდარებულ პიონერებს ხელმძღვანელმა გოგიმ და ფარდა გამოსწია.

გიორგი სკოლას მიუახლოვდა.

ბნელოდა. სკოლის ფანჯრებში საცოდავად ბჟუტავდა უსიცოცხლო ლამფები.

გიორგი შევიდა სკოლის ეზოში და ხალხი დაათვალიერა.

მოზრდილთაგანი ვერავინ შენიშნა.

ბავშები კი ყივილ-ჩხავილით იკლებდენ იქაურობას...

— გიორგი!—წამოიძახა ერთბაშად აჩიკომ გიორგის დანახვაზე და ორი წლის უნახავ ძმას ყელზე ჩამოეკიდა.

— ბარაბანიც... ყოჩაღ, გიორგი!

მან გიორგის ბარაბანი გამოართვა და ისე მაგრა დაუბრახუნა სიხარულისგან, რომ კინაღამ გახეთქა.

— ბიჭებო!

— ბარაბანი, ბიჭებო! გიორგი, დაკვრა არ იცი?

— ვიცი.

— მაშ დაუკარი... გიორგი, დაუკარი...

აჩიკომ ბარაბანი ისევ გიორგის გადასცა.

გიორგი გამოვიდა სკოლის ეზოში, და გახურდა ბარაბანზე ცეკვა-თამაში. ხალხმა იწყო სოფლიდან დენა, და ჩქარა სოფლის სკოლის ვიწრო ეზო ველარ იტევდა მოსულ მაყურებელს.

— ჯან, ბიჭებო. ხუთი თუმნის ბილეთები გაყიდულა!—აღტაცებით წამოიძახა აჩიკომ ამხანაგებში და წარმოდგენის სამზადისს შეუდგა...

— გიორგი! რა კაი დროზე წამოგვეშველე, თორემ, შენი მტერია, ჩვენ ვიზარალებდით,—ეუბნებოდა მეორე დღეს აჩიკო გიორგის და თვალებში შეყურებდა.

— როგორ?!

— როგორ და შენ რომ არ გვსტუმრებოდი ბარაბნით, ჩვენს წარმოდგენაზე ხალხი არ მოვიდოდა, დღეს კი შვიდი თუმანი ნაღდი ფული გვაქვს პიონერსალაროში და ზურგი ისე მაგრად გვაქვს, რომ...

— რაზე მოიხმართ, მერე, მაგ ფულს?—იკითხა გიორგიმ.

— არ იცი? ჩვენ ბანაკად გასვლას ვაპირებთ, ჩვენი თემის პიონერები, სახარჯო ფული კი ყველას არ აქვს, ამიტომ ფული იყო საჭირო და, აი, შენი დახმარებით ეს ფულიც ხელთ გვაქვს... სხვა, მიამბე, გიორგი, როგორ გაატარე ორი წელი წითელ ყაზარმაში და, სამაგიეროდ, ბანაკიდან რომ დავბრუნდები, მეც გიამბობ ჩემს თავგადასავალს.

გიორგი ჩამოჯდა ნიგვზის ნამორზე, აჩიკო გვერდით დაისვა და დიდხანს ესაუბრა წითელ ჯარში ყოფნის დროს რამდენიმე ეპიზოდზე.

აჩიკო გამახვილებელი სმენით მისჩერებოდა გიორგის თვალებში და გულში კი ფიქრობდა:

— დაიცა, მეც რომ გავიზრდები, შენსავით წითელარმიელი გავხდები!

პ. ჩხიკვაძე.

კულაკი კოლექტივიზაციის საკითხში საბჭოთა ხელისუფლების ხაზის დამმახინჯებელთა საქციელს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს.

ათასობით გავაგზავნოთ სოფლად ქალაქის ახალი ბრიგადები პარტიის ხაზის ახსნა-განმარტებისათვის.

არტელი კომუნა როდია. არტელში განსაზოგადოებულია მხოლოდ წარმოების იარაღები, ცხენის გამწევი ძალა, ადამიანის შრომა და ის ოთხფეხი საქონელი, რომლის ნაწარმოები უმთავრესად ბაზარზე გადის. განსაზოგადოება არ ეხება საცხოვრებელ შენობებს, კარმიდამოსთან მდებარე ნაკვეთებს (ბაღი ბოსტანი და სხვ.), შინაურ საქონელს, რომლის ნაწარმოები ოჯახის საჭიროებას ხმარდება.

კომუნაში წევრებს თავისი არაფერი არა აქვთ, იქ ყველაფერი კომუნას ეკუთვნის. კომუნა ზრუნავს თავის თითოეულ წევრზე, ზრუნავს, რომ ის იყოს ჩაცმულ-დახურული და მაძღარი. აქ არის განხორციელებული შრომისა და საერთო ცხოვრების კომუნისტური პრინციპი: თითოეულს—მოთხოვნილების მიხედვით, თითოეულისაგან—უნარის მიხედვით.

კომუნა არტელზე მაღლა დგას. არტელში ყოფნის დროსაც კი გლეხი წვრილ მესაკუთრედ რჩება.

მაგრამ სოფელს ჯერ კიდევ არ აქვს შეგნებული საერთო ცხოვრების კომუნისტური ფორმები. მან მხოლოდ ის შეიგნო, რომ აუცილებელია მიწების მოსპობა, შრომის გაერთიანება, აგრეთვე გაერთიანება ცალკეული ოჯახების მთავარი სამუშაო იარაღებისა, რომ თავი დააღწიონ საუკუნოებრივ სილატაკეს.

არტელი კოლექტივიზაციის მთავარი ფორმაა ამჟამად.

სულ ორი-სამი წლის წინად სოფელს არტელიც აფრთხობდა. ცალკეული ოჯახები ამხანაგობას ადგენდენ, რომ ერთად, საერთო ძალ-ღონით დაემუშავებიათ მიწა. წელს გლეხობის ძირითადმა მასამ წინ წარსდგა ნაბიჯი, გაერთიანდა არტელებში, სადაც გაერთიანებულია არა მხოლოდ შრომა, არამედ განსაზოგადოებულია წარმოების მთავარი იარაღები, სადაც შეიქმნება კოლექტიურ წამოწყებათა მთელი რიგი იმ მიზნით, რომ გადაამუშაონ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები, სადაც ჩამოყალიბდება ყოვე აქამდე უნახავი საზოგადოებრივი ფორმები, მაგ. ბაგები, სასადილოები და სხვა. თანდათანობით, იმის მიხედვით, თუ რამდენად წინ წაიწევს, გაუმჯობესდება კოლმეურნეობათა ნივთიერი და კულტურული დონე, გლეხობა კიდევ გადადგამს ნაბიჯს და შრომისა და საერთო ცხოვრების ისეთ ფორმებზე გადავა, როგორიცაა კომუნებში.

როგორ აარსებდენ აბეზარნი „კომუნებს“

ზოგ სოფელში აბეზარებმა გადაწყვიტეს ერთბაშად დაეყენებიათ სოფელი კომუნისტურ გზაზე —რა მოხელეა ცდა, მოდი, ერთბაშად მოვაწყოთ კომუნა და ისე ვიცხოვროთო.

აი რა საშვალებებით აარსებდენ „კომუნას“ ეს აბეზარნი:

მედიანსკის სასოფლო საბჭოში, ვიატკის ოლქში, იანვრის შუა რიცხვებში დაარსდა არტელი. მასში შევიდა 74 მეურნეობა. ადგილობრივი მექოხე მოვიდა კოლმეურნეთა კრებაზე და წინადადება მისცა მათ კომუნის წესდება მიეღოთ. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ყველა მეურნეობა გამოვიდა არტელიდან.

რომეშკოვსკის რაიონში, ტვერის ოლქში, მთლად ერთიან განასაზოგადოეს მეწველი საქონელი. არტელის ზოგიერთმა წევრმა პროტესტი განაცხადა. მათ სთქვეს: ეს არტელის წესდების დარღვევაა, ვინაიდან მის თანახმად თითო ძროხა უნდა დარჩეს განუსაზოგადოებელი ყოველ მეურნეობაშიო. მაშინ ეს პროტესტის განმცხადებელნი დააპატიმრეს. ზოგიერთი აბეზარი „გამასაზოგადოებელი“ იქამდე მივიდა, რომ მათ ძალით მიჰყავდათ ძროხები ეზოდან. მაგალითად, ერთ სოფელში კოლმეურნეობის წევრ ღარიბ ქალს ძალით გაუტეხეს ბოსელი.

ზოგან განასაზოგადოვეს არა მხოლოდ შინაური ფრინველი, არამედ ისიც კი, რაც ზანდუკებში იყო.

ზოგან კოლმეურნეებს უკრძალავდენ მათი საოჯახო შრომის ნაყოფის გაყიდვას—ყველაფერი კოლმეურნეობას ეკუთვნისო.

ამ რაიონებში აბეზარებმა ჩირქი მოსცხეს კოლექტივიზაციას და ამით ჩამოაშორეს მას ღარიბი და საშუალო გლეხების ნაწილი. ამით მოიგო მხოლოდ წურბელამ, კულაკმა, რომელიც ებრძვის კოლექტივიზაციის ყოველ ფორმას.

ხაზის გადამახინჯებისთვის—მკაცრი სასჯელი

პარტიის ცეკამ სპეციალურ მიმართვაში წინადადება მისცა ვისაც ჯერ არს, რომ მოხსნან სამსახურიდან და პასუხისგებაში მისცენ აბეზარნი ამგვარი „განსაზოგადოებისათვის“. ადგილებზე, სადაც იყო შეცდომები დაშვებული, ეს შეცდომები ან უკვე გამოსწორებულია, ან მიღებულია სათანადო ზომები. აბეზარებს სიახლის სამართალში აძლევენ.

პარტია მომავალშიც სასტიკად დასჯის მათ, ვინც გადაამახინჯებს მის გენერალურ ხაზს, ეს ხაზი კი იმაში მდგომარეობს, რომ მასა თავისი საკუთარი გამოცდილებით უნდა დარწმუნდეს შრომისა და ყოფის კოლექტიური ფორმების უპირატესობაში. **წინ გავსწიოთ გლეხობის ძირითად მასასთან ერთად, იმათ კი, რომელნიც ჩამორჩებიან, ან წინ გაიქცევიან, პარტია მკაცრად მოუწოდებს წესრიგისაკენ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 25 კაპ.

ცალიერი ადგილი

ბავშები, არა ნაკლები ათისა, დგებიან წრეზე, თითო ნაბიჯის დაშორებით ერთმანეთზე. წრეზე დადგომამდე უნდა გამოიყოს ერთი ბავში, რომელსაც წრეში ადგილი არ ექნება. გამოყოფილი ბავში დადის წრის გარეთ, ბავშების უკან და დაარტყამს წრეზე მდგომ ერთ მოთამაშეთაგანს. დამრტყმელიც და დარტყმულიც გარბიან სხვადასხვა მხარეს წრის გარეთ, რომ მოასწრონ გაქცეულის მიერ დაცალიერებულ ადგილზე დადგომა; მორბენალთაგანი რომელიც მოასწრებს ცალიერ ადგილზე დადგომას, იქ დადგება და მეორე კი განაგრძობს წრის გარეთ სიარულს და, როგორც პირველად, ისევ დაარტყამს ვინმეს და კიდევ დამრტყმელი და დარტყმული გარბიან, რომ ერთმანეთს მოასწრონ ცალიერი ადგილების დაკავება.

ტომრებში რბენა

იარაღი: 3—4 ცალიერი ტომარა.

ადგილი: 40—20 მეტრი სწორი მოედანი—მინდორი.

ბავშები ჩადგებიან ტომრებში; ტომრები სირბილის დროს რომ არ ჩავარდეს, ბაწრით ან თასმით ბეჭებზე გადაჭიმვით უნდა მიიმაგრონ. სამი ან ოთხი ბავში ტომრებჩაცმული დგება ერთ ხაზზე; ხელმძღვანელის ნიშანზე ისინი გარბიან გადაზომილ ადგილებამდე. მანძილის გარბენა შეიძლება ან მოკლე ტყუპფეხა ნახტომებით, ან სირბილით, ან ხოხვით, ან კოტრიალით. ვინც ადრე მივა პუნქტთან, ის არის მოგებული.

მანძილი წლოვანების მიხედვით:

14—16 წ.—25 მეტრი.
12—13 წ.—20 „
10—11 წ.—10—15 მეტრი.

ქილატეხაობა

უვარგის ქილას მოედანზე მოიტანენ და აღნიშნულ ადგილას ქვაზე ან სკამზე დასდებენ. მოთამაშე, დამდგარი ზურგით ქილისაკენ, გადაზომავს 20—30 ნაბიჯს წინ პირდაპირ. უკანასკნელი ნაბიჯის დროს შედგება. მას ხელმძღვანელი აუხვევს თვალებს. შემდგარი მოთამაშე ზურგით ქილისაკენაა, მობრუნდება ზურგისაკენ—პირი ექნება ქილისაკენ, შემდეგ კიდევ ზურგისაკენ მობრუნდება—ახლა ზურგით იქნება ქილისაკენ; მესამე მობრუნებაზე ზურგისაკენ იდგომება პირით ქილისაკენ და ჯოხით ხელში გადაზომავს ქილისაკენ იმდენ ნაბიჯს, რამდენიც გადმოზომა და უკანასკნელი ნაბიჯის შემდეგ უნდა დაარტყას ჯოხი ქილას დასამტვრევად. მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც ჯოხი აცილდება მიმართულებას და ჯოხს აქნევს ჰაერში, ან მიწას დაარტყამს. ამისთვის საჭიროა ზურგისაკენ ბრუნება აწარმოოს წესიერად. სხვათაშორის, როდესაც თვალახვეული მიდის ქილის დასარტყმევად, ხშირია გზის ადრე აბნევა, რაც მაყურებელში დიდ სიცილ-მხიარულებას იწვევს. ბავშები უყვირიან: „იქით“, „აქეთ“, რაც უფრო აბნევს თვალახვეულს. მინდორი უნდა იყოს სრულებით საიმედო, რომ თვალახვეული მოთამაშე ან ქვას არ წამოედვას, ან არ გადავარდეს. ეს ყველაფერი ხელმძღვანელზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოიხმარს, ადგილობრივ პირობებში, თამაშის შინაარსს.

მ. მახარაძე.

რედაქტორი: **სარედაქციო კოლეგია.**

მთავლიტი № 933 სახელგამის სტამბა, შუა ბაზარი, № 22. შეკვ. 198. ტირ. 3000